# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 10 იანვარი 2004 №2 (2021) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუფრა და კალენდარი კიევში გაიშლება

*2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი კიევში შედგება. უკრაინელები ამ საქმეში მოცილე თურქებზე მარიფათიანად გაისარჯნენ და თანაჯგუფელი დანიელების, ბერძნების, ალბანელების, ყაზახებისა და ქართველების თანხმობით კალენდრის შედგენის ალაგად კიევი დაითქვა.*





[illegible] ფოტო

ოლეგ ბლოხინმა შენოლ გიუნეშს სკალენდრო პრიორიტეტი აართვა

## შკრაინამ თურქეთს შკვე მოუგო. რას იზამენ ქართველები?

**ფიფას დღეები**

2004. 4, 8 სექტემბერი; 9, 13 ოქტომბერი
2005. 26, 30 მარტი; 4, 8 აპრილი; 3, 7 სექტემბერი; 8, 12 ოქტომბერი

*ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილე ქვეყნებს კალენდრის შესადგენ ვადად 1 თებერვალი დაუთქვა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავადვე დაანყვილ-დაათარიღებს გუნდებს. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს ჯგუფში ასე არ მოხდება და საქართველო სათავისწილო ვარიანტის გატანას ახლა მაინც მოახერხებს ან ამას სერიოზულად მაინც ეცდება.*

*სფფ-ის დელეგაცია კიევში 29 იანვარს გაემგზავრება, 30-31-ში კი მეტოქე ქვეყნების ფედერაციათა წარმომადგენლებთან ერთად კალენდრის თაობაზე მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება. ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებს ალბათ ახალი მთავარი მწვრთნელიც ეყოლება.*



# მარკოიშვილი სკამიდან გერმანიაში წავიდა

*„მოვიდნენ და მკითხეს, თუ სკამზე ჯდომა გინდა, ჩვენთან დარჩი, თუ დახვეწა-განვითარება, შედარებით სუსტ გუნდს შეგირჩევთო — გვითხრა გუშინ მანუჩარ მარკოიშვილმა — მე და „ბენეტონის“ ხელმძღვანელობა შევთანხმდით, ისეთ გუნდში გადავსულიყავი, სადაც მოედანზე 20-25 წუთს მაინც გავატარებდი.“*

*მარკოიშვილი უკვე გადაბარგდა გერმანიაში და „მიტელდოიჩერში“ გაცნობითი ვარჯიშიც ჩაატარა.*

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე



## არსენალმა აფხაზამა კაცურად დაიტირა

### კიეველებმა გარდაცვლილი ფეხბურთელის შვილს მამის ხელფასი დაუნიშნეს



გუშინ სტეფანო ტანცის პრეზიდენტობის ბოლო დღე იყო

# პარმას რძე და წვენი გაუშრა

## ფეხბურთი ტანცებს გადააჰყვა




მომდევნო სარბიელი ორშაბათს, 12 იანვარს გამოვა

# არსენალმა შალვა აფხაზავა კაცურად დაიტირა



## უკრაინელებს რომ მხარში ამოდგომა სცოდნიათ...

**სამშაბათს** კიევში მოულოდნელად გარდაცვლილი შალვა აფხაზავას ცხედარი საქართველოში გუშინ ჩამოასვენეს და გამთენიისას ქობულეთში დაასვენეს. კიევიდან გამოფრენილი ჩარტერული რეისი ბათუმის აეროპორტმა უამინდობის გამო არ მიიღო, თვითმფრინავი თბილისში დაჯდა.

იმ საბედისწერო დღეს 23 წლის ფეხბურთელმა გუნდთან ერთად ივახშმა, მოსასვენებლად ოთახისკენ გასწია, შობის დილას კი...

„არსენალი" იმ დღეს თურქულ შეკრებაზე მიემგზავრებოდა. გუნდი შეკრებაზე კი გაემგზავრა, მაგრამ დღეს უკვე ნახევარი „არსენალი" ქობულეთშია და მიცვალებულს ღამეს უთევს. ანთალიიდან ცხრა ფეხბურთელი და გუნდის წარმომადგენლები ქობულეთში გუშინ ჩავიდნენ. გუშინვე შალვა აფხაზავასთვის პატივის მისაგებად კიევიდან საგანგებო რეისით ქალაქის მერიის ხელმძღვანელობა ჩამოფრინდა. ჭირისუფლები განცვიფრებულნი არიან უკრაინელების ყურადღებითა და თანადგომით. თუნდაც ეს რად ღირს: კიევის „არსენალის" ხელმძღვანელობამ შალვა აფხაზავას წლინახევრის ვაჟს ის ხელფასი დაუნიშნა, რასაც მამამისი კლუბში იღებდა.

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ**
**შალვა აფხაზავას**
**ოჯახის წევრებს და ახლობლებს**

# მოვიგოთ უნდა ბევრი რომა

## კალაძეს ექიმების დანახვა აღარ უნდა



**კახა კალაძე,** რომელმაც სეზონის დაწყებამდე ნატკენი ფეხის მკურნალობას ოთხი თვე მოანდომა და თამაში დეკემბერში განაახლა, 30 დეკემბერს ისევ დაშავდა და ერთი კვირაც დაისვენა. „მილანის" ჩვენიანი ინდივიდუალურად ვარჯიშს გუშინ შეუდგა, ორიოდ დღეში კი გუნდსაც შეუერთდება.

კახას წლეულს უიღბლო სეზონი აქვს, არადა, მისი „მილანი" ჩემპიონობისთვის იბრძვის. კალაძემ სერია A-ში ჯერ მხოლოდ ერთხელ ითამაშა, „უდინეზესთან" და მაშინაც გუნდს ბოლომდე ვერ გაჰყვა: მატჩის ბოლოსკენ ბერტოტოს გასილაქებისათვის მსაჯმა ის მოედნიდან ნაადრევად გაისტუმრა. მეტოქის შეურაცხყოფა კალაძეს არ შერჩა, მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, კლუბმა კი ფულადადაც დააჯარიმა. კახამ ორიდან ერთი, „რომასთან" მატჩი უკვე გამოტოვა, გამოტოვებს „რეჯინასთან" საკვირაო შეხვედრასაც და თუ ხელი არ შეეშალა, მომავალ კვირას ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, როგორც თავად გვითხრა, იქამდე ფორმაში იქნება.

— 30 დეკემბერს ვარჯიშზე დავშავდი, ორთაბრძოლისას მუხლი შემიტრიალდა და ერთი კვირა დავისვენე. გუნდთან ერთად ვარჯიში ჯერაც არ დამიწყია, ბიჭებს, ალბათ, ორშაბათიდან შევუერთდები.

**— ტრავმები, დისკვალიფიკაცია... ჩვეულად როდის ათამაშდები?**

— ესეც ხომ ბედია... ერთი ტრავმა როგორც იქნა, მოვიშუშე და პირველივე მატჩში გამაძევეს, მერე მუხლმა მიმტყუნა. ესეც რომ არა, „რომასთან" შეხვედრას მაინც გამოვტოვებდი, მაგრამ ტრავმამ კიდევ უფრო დამამწუხრა. მოკლედ, ნახევარი სეზონია, ექიმების ხელში ვარ. ვნახოთ, „რეჯინასთან" მატჩიც ჩაივლის და მერე, ვიმედოვნებ, ძველებურად ავთამაშდები.

**— ისე, „რომასთან" მაგარი თამაში მოიგეთ.**

— ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით. „რომასთან" შეხვედრა სეზონში ერთ-ერთ ცენტრალურად ითვლებოდა. ძალიან გახარებულები ვართ, თუმცა საბოლოო მიზნის მიღწევამდე რამდენიმე ასეთივე პრინციპული მატჩი უნდა მოვიგოთ.

**ბონა ინასარიძე**

| საფრანგეთი | პორტუგალია |
|---|---|
| I დივიზიონი. XX ტური | სუპერლიგა. XVII ტური |
| მონაკო 3:0 ლიონი | სპორტინგი 2:1 გიმარაეში |

| ინგლისი | |
|---|---|
| I დივიზიონი. XXVII ტური | III დივიზიონი. XXVI ტური |
| ვესტ ბრომვიჩი 2:0 უოლსოლი | ჩელტენემი 1:1 საუთენდი |

C'est la vie

# მენეჯერები ნებივრობენ, ფეხბურთელები ნერვიულობენ

## რეხვიაშვილს მხრები და კარიერა აეჩეჩა

*რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან თუ ვინმეზე შეიძლებოდა თქმა, კარგი სახელი აქვსო, ერთ-ერთი ალექსანდრე რეხვიაშვილია. რიგის „სკონტოდან" მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგში" გადასულმა ჩვენებურმა რუსების გული იოლად მოიგო — მალე ახალი გუნდის კაპიტანი გახდა, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც არაერთხელ მოხვდა და... მწვრთნელებთან და განსაკუთრებით კლუბის გენერალურ მენეჯერ იური ბელოუსთან ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ მის რუსულ კარიერას გვარიანი დაღი დაასვა — რეხვიაშვილი რამდენიმე თვეა, უთამაშებელია და დღემდე ამაოდ ცდილობს სხვა კლუბში გადასვლას.*

*გუშინ ალეკოს მოსკოვში შევეხმიანეთ, თუმცა საიმედო ბევრი ვერაფერი გვითხრა*



— ახალი ისევ არაფერია. „ტორპედო-მეტალურგი" უკვე წავიდა უცხოურ შეკრებაზე, მე კი მოსკოვში დავრჩი.

**— ვარჯიშობ?**

— ტრანსფერზე დაყენებულებს კლუბმა ერთ-ერთი მწვრთნელი დაგვიტოვა და ის გვავარჯიშებს. 10-15 ფეხბურთელი ვართ და სერიოზულადაც ვემზადებით. ასე რომ, თუ რაიმე ვარიანტი გამოჩნდა, მოუმზადებელი არ ვიქნები.

**— ეს ვარიანტი კი არა და არ ჩანს.**

— 12 იანვარს იური ბელოუსი დაბრუნდება მოსკოვში და აუცილებლად შევხვდები. ახლა ის რომელიღაც კუნძულზე ნებივრობს, როცა ჩამობრძანდება, გავიგებ რას შემომთავაზებს.

**— ვიცოდით, რომ ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" სურდა შენი შეძენა...**

— ასეთი წინადადება ნამდვილად მქონდა. ადრე ბახვა თედეევმა დამირეკა და „სპარტაკ-ალანიაში" გადასვლა შემომთავაზა, თუმცა მერე საქმე წინ არ წასულა. ახლა ოსებს ფრანგი კურბისის დანიშვნა სურთ მთავარ მწვრთნელად და...

**— რუსული წყაროების ცნობით, კურბისმა უკვე გააფორმა „სპარტაკ-ალანიასთან" ორწლიანი კონტრაქტი...**

— მართლა? არ ვიცოდი. მაშინ ალბათ უკვე დაიწყებენ ახალი ფეხბურთელების მიწვევას და ვნახოთ, თუ დამიკავშირდებიან. თედეევს კი უნდოდა ჩემი წაყვანა, მაგრამ ახლა არც ვიცი, დარჩება თუ არა ის გუნდში.

**— გუნდები უკვე იწყებენ საახალსეზონო მზადებას. ხომ არ ფიქრობ, რომ აგვიანებ და შეიძლება, საერთოდ უგუნდოდ დარჩე?**

— შინ ხომ არ ვზივარ?! კარდაკარ სიარულს ნამდვილად ვერ დავიწყებ და ვარჯიშით ჩვეულად ვვარჯიშობ. დრო რომ გადის, ეს მეც მანერვიულებს, მაგრამ რა ვქნა?! ასეთია ცხოვრება...

**— „ტორპედო-მეტალურგის" გარდა ვინ მუშაობს შენს ტრანსფერზე? მენეჯერი არ გყავს?**

— არა. მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელობაა ამ საქმით დაკავებული, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით რეალური ვარიანტი არ ყოფილა.

**— რუსეთში საკმაოდ კარგი რეკლამა გქონდა. გასაკვირიც არის, ამდენ ხანს გუნდი რომ ვერ მოძებნე...**

— ეს მე მკითხეთ. მართლა ვერ გამიგია, რატომ ხდება ასე. რუსი ჟურნალისტებიც ხშირად მირეკავენ და იგივეს მეუბნებიან. პირველ ლიგაში წასვლაც არ მინდა. ამით ვერაფერს მოვიგებ, რა ვიცი, რისი ბრალია, ვერ ვხვდები. მართლა ძალიან ჭირს გუნდის მოძებნა. ამაში უკვე დავრწმუნდი.

**— ესე იგი, ფაქტობრივად, ჰაერში გამოეკიდე...**

— მთლად ჯერეც არ არის. თუ საშველი არ დამადგა, „ტორპედო-მეტალურგთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. მართალია, ბელოუსს ცოცხალი თავით არ სურს ჩემი დატოვება, მაგრამ მაშინ მომიძებნოს გუნდი. თუ არა, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები შემისრულოს და ნახავს, როგორია გამოუყენებელი ფეხბურთელისთვის ერთი წლის განმავლობაში ხელფასის გადახდა.

**— შენი დღევანდელი ყოფა ალბათ ბელოუსთან სეზონისწინა ხმაურიანი კონფლიქტის ბრალიცაა...**

— რა თქმა უნდა. ყველაფერი იქიდან დაიწყო. „ტორპედო-მეტალურგმა" წინა სეზონში ოთხი თავკაცი გამოიცვალა. ახლა ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელმაც შანსი თითქმის ყველა ძველ ფეხბურთელს მისცა ჩემ გარდა. მე საქმეშიც არ ვუნახივარ, ეგრევე უარი თქვა. ამაში ბელოუსის ხელი რომ ურევია, ფაქტია.

**ბაჩა შალამბერიძე**

# თათრებს გაქცეული სილაგაძე უკრაინაში გადავიდა

**საქართველოს** ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის" ყოფილი მცველი ლევან სილაგაძე ალბათ უკრაინული „ვოლინის" მაისურას მოირგებს. ასეთი ინფორმაცია „ვოლინის" ვებ-გვერდზე ამოვიკითხეთ. დაახლოებით ერთი თვე უკლუბოდ მყოფ სილაგაძეს უკრაინული ვარიანტი გამოუჩნდა. უკრაინელთა თქმით, „ვოლინსა" და ქართველ ფეხბურთელს შორის კონტრაქტის გაფორმება დღეების საქმეა.

შეგახსენებთ, რომ სილაგაძემ „რუბინი" დეკემბერში, რუსული პრემიერლიგის დასრულებისთანავე დატოვა. რუსეთში მესამე გუნდი ჩვენებურს კონტრაქტის გაგრძელებას კი სთავაზობდა, მაგრამ პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და ლევანმაც მეორე ქართველთან, დავით ჩალაძესთან ერთად გუდა-ნაბადი აიკრა.

სილაგაძემ ახალ ნავსაყუდელს უკვე მიაგნო — ვოლინელები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, ჩალაძე კი ჯერაც კლუბის ძიებაშია.

აქვე ვთქვათ, რომ „ვოლინი" ბოლნისის „სიონიდან" წასული დავით ჭიჭვეიშვილის სამიზნეცაა, თუმცა მხარეებს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა.

**ბაჩა შალამბერიძე**



გენადი ნიჟეგოროდოვს ლევან სილაგაძე აღარ ეთამაშება

*რამდენი წელია, გრძელდება რუსთავული ფეხბურთის რეგრესი, რაც შესაძლოა, სრული კატასტროფით დამთავრდეს. უსახსრო „გორდა“ უმაღლესი ლიგიდან პირველში დაქვეითდა, მერე გამოცდილი ფეხბურთელებიც შემოეცალა და ახლა, ფაქტობრივად, ენთუზიასტი ახალგაზრდების იმედად პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს, რაც კლუბის გამოცარიელებული სალაროს გათვალისწინებით ერთობ ძნელი მისაღწევია.*

*„გორდა“ იურიდიულად კსკ შპს „გორდა 2000“-ს ეკუთვნის, რომლის მესვეურებიც დღემდე მერიის თანადგომით ინახავდნენ გუნდს, ამგვარ ურთიერთობას კი ხეირი არც ერთი მხარისთვის არ მოუტანია, მეტიც, საქმე დაპირისპირებამდეც მივიდა, ამიტომაც ქალაქის ხელმძღვანელებს სხვა მოსაზრება გაუჩნდათ...*

# თანხმობა თუ სასამართლო?

## რუსთავი VS გორდა

## ახალი კლუბი ბიუჯეტით და უსტადიონოდ — ძველი კლუბი სტადიონით და უბიუჯეტოდ



ლაშა მინდელი



სერგო ბუიღლიშვილი

**გუშინ** რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ და ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა *ლაშა მინდელმა* გვთხოვა შეხვედრა და ეს გვითხრა:

„გორდას“ ხელმძღვანელებს ყოველთვის გვერდით ვედექით. ჩვენც გვსურდა გუნდისთვის შეძლებული სპონსორების გამოძებნა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. თავის მხრივ, შედეგი არ მოჰყოლია კლუბის მესვეურთა მცდელობასაც, არადა, მათ, ფაქტობრივად, გუნდის შენახვის საშუალება არ ჰქონდათ და ჩვენი დახმარების იმედად იყვნენ. ჩვენც, რაც შეგვეძლო, ვაკეთებდით. გავისტუმრეთ ფედერაციის ვალი, 9000 ლარი, გადავიხადეთ პირველ ლიგაში გუნდის სამონაწილეო თანხაც, დავფარეთ ერთი თვის ხელფასიც. სამწუხაროდ, ეს თანხა აღნუსხული არსად არის, არადა, „გორდასთვის“ ფული ბიუჯეტიდანაა გაცემული. სამომავლოდ ასეთი ურთიერთობა, ცხადია, შეუძლებელია, ამიტომაც არაერთხელ შევეცადეთ კლუბის მესვეურებთან მოლაპარაკებას. ჩვენი მოთხოვნა სამართლიანი და გუნდისთვის სასიკეთო იყო — ეხელმძღვანელა „გორდასთვის“ იმას, ვისაც ამის უნარი შესწევდა, თუმც ვერფრით შევთანხმდით მათთან და ამიტომაც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება: შეიქმნება საქციო საზოგადოება „რუსთავი 55“; დაფუძნდება ახალი კლუბი „რუსთავი“, რომელიც ყოველთვიურად დაფინანსდება ბიუჯეტიდან 7000 ლარით. დანარჩენ თანხას მომავალი აქციონერები შემოიტანენ, რომელთაც განსხვავებულ, საქმიან ურთიერთობას ვთავაზობთ და ვიმედოვნებ, მათი მოძიება პრობლემა არ იქნება. ჩვენ ახალ გუნდს შესაძლოა, საქმის დაწყება ნულიდან მოუხდეს, მაგრამ არც ამას გავურბივართ. ჩვენი მიზანია, რუსთავში ფეხბურთი ავაღორძინოთ და მივაღწევთ კიდეც ამას.

— კი მაგრამ, რომელ სტადიონზე ითამაშებს ახალი გუნდი, „ფოლადი“ ხომ ოფიციალურად „გორდა 2000“-ის კუთვნილებაა?

— იმედი მაქვს, სტადიონთან დაკავშირებით გორდელები ხელს არ შეგვიშლიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული დაპირისპირება მოგვიხდება მათთან. არ უარვყოფ, რომ სტადიონი „გორდა 2000“-ს ეკუთვნის, მაგრამ ბევრი ნიუანსის გათვალისწინებით, რომლებზე საუბარიც ჯერჯერობით არ მსურს, ჩვენ არ შეგვექმნება „ფოლადზე“ თამაშის პრობლემა. ამიტომაც ხვალიდანვე დავიწყებთ ახალი გუნდის შეკრებას. ამ საქმეში ვარლამ კილასონიას დიდი იმედი მაქვს მჯერა, მისი თაოსნობით რუსთაველ ფეხბურთს პრესტიჟს დავუბრუნებთ.

— რომელ ლიგაში ითამაშებს ახალი გუნდი. მიმდინარე ჩემპიონატი ხომ შუა გზაშია და, ბუნებრივია, მეორე ეტაპიდან დამოუკიდებლად მასში მონაწილეობა გამორიცხულია.

— ვფიქრობთ დროებით ვინმესთან ალიანსზე. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ ახალი სეზონიდან ვითამაშებთ რეგიონულ ან სულაც პირველ ლიგაში.

— „გორდას“ ხელმძღვანელებთან შეთანხმებასა და თანამშრომლობაზე არ ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა. ჯერაც არის იმის საშუალება, რომ გორდელები კომპრომისზე წამოვიდნენ და ერთობლივად შევძლოთ საქმის კეთება, თუ არა, ჩვენ ჩვენი გზა არჩეული გვაქვს.

ლაშა მინდელთან საუბრის შემდეგ გუშინ კსკ შპს „გორდა 2000“-ის დირექტორს *სერგო ბუიღლიშვილს* დავუკავშირდით:

— რუსთავის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ, მით უფრო, რომ ქალაქის მერია რითიც შეეძლო, გვერდში გვედგა. პრობლემის მიზეზი ის არის, რომ ორი მხარე საფუძვლიანად არასდროს შეხვედრია აქამდე. ამას წინათ მინდელთან მივედი, მაგრამ ბატონი ლაშა თათბირზე იმყოფებოდა. თათბირი დიდხანს გაგრძელდა, მე კი თავი შეუძლოდ ვიგრძენი და მინდელს ველარ დაველოდე. იმედი მაქვს, სტადიონთან დაკავშირებით დავა სასამართლომდე არ მივა, თუმც ჩვენ ამასაც არ ვუფრთხით, ბოლოს და ბოლოს, სასამართლომ დაგვიკანონა რუსთავის სტადიონი.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით გუშინ სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძეს შევხვდი. ფედერციაც დაინტერესებულია რუსთაული ფეხბურთის ბედით და მჯერა, ლაშა მინდელთან შეხვედრის შემდეგ შეთანხმებას მივაღწევთ. ჩვენ არ ვართ რუსთავის მერიასთან თანამშრომლობის წინააღმდეგი.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ლოკომოტივაცია არ კვდება

## ცაკარიასი ლოკომოტივში მაინც მიდის

**რა ელის** თბილისის „ლოკომოტივს“? სანამ საქართველოს რკინიგზას ახალ უფროსობას დაუნიშნავენ, გუნდი მანამდე აპირებს სეზონის განახლებისთვის მზადებას. მოკლედ, მიუხედავად ამისა, რომ „ლოკომოტივის“ საკითხი ჯერაც გაურკვეველია, ფეხბურთელები 12 იანვარს შეიკრიბებიან ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

რაც შეეხება რკინიგზელთა პერუელ მწვრთნელ ლუის ცაკარიასს, ის თბილისში 15 იანვარს ჩამოვა და იმედი აქვს, რომ თანაშემწე გოჩა თამაზაშვილთან ერთად „ლოკომოტივში“ გააგრძელებს მუშაობას.

„ლოკომოტივი“ დატოვა მცველმა ლაშა სალუქვაძემ — ის ამჟამად უკრაინულ „ვოლინშია“.



# დღეს ხურცილავა სპარტაკს დაელაპარაკება

**დღეს** ოფიციალურად გაირკვევა უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, თბილისური „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის ბედი. უკვე რა ხანია, საფეხბურთო საქართველო ამ პოსტს მურთაზ ხურცილავას „აბარებს“, თუმც ეს ამბავი ბეჭედდასმული ჯერაც არ გახლავთ.

— კლუბის ხელმძღვანელობას ხვალ შევხვდები და ყველაფერი მაშინ გაირკვევა. ჯერჯერობით თავს „სპარტაკის“ მწვრთნელად არ ვთვლი. ვნახოთ, რას მოვილაპარაკებ ხელმძღვანელობასთან — გვითხრა გუშინ მურთაზ ხურცილავამ.

ასე რომ, „სპარტაკი“ დამრიგებელს ელის. გავრცელებული ხმებით, მურთაზ ხურცილავა შეთანხმების შემთხვევაში გუნდში თანაშემწედ ნოდარ აკობიას მიიყვანს. თუ გახსოვთ, მათ ერთად თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივშიც“ უმუშავიათ.

უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლ „სპარტაკს“ კი სამეორეეტაპო მზადების დაწყება 15 იანვრისთვის აქვს დაგეგმილი.

**ქახა შალამბერიძე**

*გიორგი მანწკავა თავისუფალი აგენტია. ეს მას მერე გახდა ცნობილი, რაც თბილისის „დინამომ“ თავის ყოფილ ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ „დინამოს“ კუთვნილმა ფეხბურთელმა გასული სეზონი იჯარის წესით თბილისის „ლოკომოტივში“ ჩაამთავრა. თავის მხრივ, საუკეთესო პერიოდი არც რკინიგზელთა გუნდს უდგას. სრულ გაურკვევლობაში მყოფი აკაკი ჩხაიძის პირმშო უკეთესი მომავლის იმედითღა სულდგმულობს.*

*ამ დროს კი ფეხბურთელთა მიგრაცია ბუნებრივი ამბავია, მანწკავაც უქმობა-უგუნდობის თავიდან ასაცილებლად ყოფილ ფეხბურთელს, ამჟამად მენეჯერ ივანე ჯულელს დაუკავშირდა და მომავალი გუნდის მოძიებასაც მასთან ერთად ეშურება. ჯერჯერობით ისიც გაურკვევლობაშია, რაც ამ მცირე ინტერვიუდანაც ჩანს.*

# წამოდი, ერთად ვიაროთ...

— გიორგი, ახალი სეზონი თვენახევარში იწყება. სად შეხვდები მას?

— ფაქტია, რომ „დინამოდან“ საბოლოოდ წამოვედი. როდესაც ჩემი მენეჯერი კლუბში მივიდა, განუცხადეს, რომ ჩემთან კონტრაქტს არ აგრძელებენ. ფაქტობრივად, იანვრიდან თავისუფალ აგენტად ვიქეცი, რაც ახალი კლუბის მოძიებას უფრო გააადვილებს.

— „ლოკომოტივში“ თამაშს გამორიცხავ?

— ამ თემაზე საერთოდ მიჭირს ლაპარაკი, ვინაიდან კლუბი ჯერ არ შეკრებილა და ხეირიანად წამსვლელ-დამრჩენებზეც არაფერია ცნობილი. თუ ეს შანსი გამოირიცხა, სხვა ვარიანტებიც უნდა მქონდეს, უკლუბოდ რომ არ დავრჩე. ამაზე მუშაობს ჩემი მენეჯერი, ივანე ჯულელი.

—კონკრეტული ვარიანტები თუ გამოიკვეთა?

— სამწუხაროდ, ჯერ არაფერი. ვნახოთ, ახლო მომავალში ალბათ აუცილებლად გამოჩნდება...

— ქართულ კლუბებს გულისხმობ თუ...

— გამორიცხული არაფერია. შეიძლება ქართულიც იყოს, შეიძლება უცხოურიც. ახლა მთავარია, რეალური ვარიანტი მოინახოს. მანამდე ინდივიდუალურად ვივარჯიშებ.

— „ლოკომოტივის“ სამომავლო გეგმებზე თუ იცი რამე?

— სამწუხაროდ, არაფერი. ჯერ არც შევკრებილვართ.

**დავით ერაძე**



ვისთვის შეუტევს გიორგი მანწკავა?

*1987 წელი იმითაა ქართული ფეხბურთისთვის ღირსსახსოვარი, რომ თბილისის „დინამომ“ საბჭოთა ერაში უკანასკნელად ითამაშა ევროტურნირზე.*

*1986 წელს ნოდარ ახალკაცი დაბრუნდა „დინამოში“, გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაარჩინა და მისი თავკაცობით „დინამო“ მე-5 ადგილზე გავიდა, რითაც უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. თუმც მაშინდელი „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ახალკაცს ჯანყი მოუწყვეს. შედეგად, ტიტულოვანი მწვრთნელი გუნდიდან გაუშვეს და „დინამო“ ლენინგრადელმა გერმან ზონინმა ჩაიბარა. ჩემპიონატში „დინამომ“ ვერაფრით გამოიჩინა თავი, მაგრამ უეფას თასზე ორი ეტაპი გადალახა და მერვედფინალში ბრემენის „ვერდერს“ გადაეყარა. დასავლეთგერმანელებთან თბილისურ მატჩზე ხუთმანეთიანი ბილეთი შავ ბაზარზე ხუთი თუმანი ღირდა — ხუთწლიანი პაუზის შემდეგ „დინამოს“ სტადიონი კვლავ გაიძვძა და ეს პატარა ამბავი სულაც არ იყო — 1982 წელს თასების თასის ნახევარფინალიდან „დინამო“ ბელგიურმა „სტანდარტმა“ გამოაგდო და 1987 წლამდე თბილისში „ჰამბურგი“, „ანდერლეხტი“ თუ „კიოლნი“ ოდენ მოსკოვურ-კიევურ გუნდებთან სტუმრობდნენ...*

*მას შემდეგ 17 წელი გავიდა და იმდროინდელი ამბების მოსაყოლად რამაზ შენგელიას ვესტუმრეთ, ვინც „ვერდერს“ გოლი ბრემენში გაუტანა.*

**დავით თავართქილაძე**



ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# ხუმრობით და სერიოზულად: დინამო კაპუტ

**1983** წლის მერე თბილისის „დინამოს“ თამაში იყო ჯახირი და წვალება — გუნდი დაშალეს და მოარყიეს. არადა, ევროპაში მაშინაც ყველაფერი მკაფიოდ იყო განსაზღვრული — თუ ახლა კარგი მწვრთნელი 3 მილიონი ღირს, კარგი ფეხბურთელი 40-50 მილიონი უნდა ღირდეს. მოკლედ, თუ გუნდში სათანადო ფეხბურთელები არ არიან, მარტო მწვრთნელი ვერაფერს გახდება. „დინამოდან“ მაშინ ბევრი გამოცდილი და კარგი ფეხბურთელი ერთი ხელის მოსმით დაითხოვეს, ახალი მოთამაშეები კი გუნდში მიდი-მოდიოდნენ. გუნდს მხოლოდ მწვრთნელი არ ქმნის, გუნდს ქმნიან პიროვნებები თავიანთი ნიჭითა და შრომით.

თუმც, 1987 წლისთვის „დინამოს“ რაღაც პერსპექტივა მაინც გამოუჩნდა — გუნდს შემოვრჩით რამდენიმე ვეტერანი, იყვნენ ახალი თაობის კარგი წარმომადგენლებიც — გელა კეტაშვილი, თემურ ქეცბაია, გია გურული...

რა მოუტანა „დინამოს“ გერმან ზონინის მოსვლამ? ბევრი და განსაკუთრებული არც არაფერი. მას ჰქონდა საკუთარი კონცეფცია, მაგრამ აზრს უცაბედად და ხშირად შეიცვლიდა-ხოლმე. ფეხბურთელები ვერ ვგრძნობდით, რომ „დინამოს“ მწვრთნელი ჰყავდა — გუნდს, ფაქტობრივად, ფეხბურთელები ვმართავდით — ვეტერანებს, ოთარ გაბელიას, ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქველიძეს და მე წონადი სიტყვა გვეთქმოდა.

ასე იყო თუ ისე, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ „დინამო“ ევროპულ სარბიელს დაუბრუნდა.

წილისყრამ ადრეულ ეტაპზე ბულგარული „ლოკომოტივი“ შეგვახვედრა. ერთი შეხედვით, ძლიერი გუნდი არ ჩანდა, მაგრამ პირველი მატჩი სტუმრად ვითამაშეთ და 1:3 დავმარცხდით. რადაც უნდა დაგვჯდომოდა, თბილისში უნდა მოგვეგო, თანაც ისე, რომ შემდეგ ეტაპზე გავსულიყავით. ეს რომ არ მოგვეხერხებინა, ვეტერანებს გუნდიდან არა მხოლოდ გაგვიშვებდნენ, ალბათ დაგვიჭერდნენ კიდეც — ცეკაში მაშინ ასეთი ტონით გველაპარაკებოდნენ. „დინამო“ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი იყო და მინისტრ შოთა გორგოძესთან, რა თქმა უნდა, მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა, თუმც მასთან მხოლოდ კარგი ურთიერთობა გვაკავშირებდა, ცეკა კი სულ სხვა იყო.

მოკლედ, დაიწყო თუ არა ბულგარელებთან თბილისური მატჩი, გელა კეტაშვილმა სოლო რეიდი განახორციელა და „ლოკომოტივის“ საჯარიმოში წაიქცა. 11-მეტრიანის დარტყმა მე ვიკისრე, მაგრამ რაღაცნაირად, ცუდად დავარტყი და მეკარემ აიღო. ამის შემდეგ ფსიქოლოგიურად გავტყდი, თამაში არ წამივიდა. ტაიმის მიწურულს კი სულაქველიძემ ოსტატური გოლი გაიტანა და დავწყნარდით. თუმც 1:0 საკმარისი არ იყო, დავიძაბეთ, თითქოს შებორკილები ვიყავით, მაგრამ გურულის გოლმა გადაგვარჩინა — გიამ შორიდან გაიტანა მაგარი გოლი, მერე კი ჩივაძემ ჩააწოდა თავზე და 3:0 — „დინამო“ მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

მეორე ეტაპზე რუმინული „ვიქტორია“ შეგვხვდა — სტუმრად 2:1 მოვიგეთ, გოლები მე და სოსო ჩედიამ გავიტანეთ, შინ ფრე 0:0 და შემდეგ ეტაპზე გავედით.

უეფას თასს თექვსმეტი გუნდი შემორჩა და მათგან სუსტი არავინ იქნებოდა, თუმც წილისყრამ ერთ-ერთი უძლიერესი შეგვახვედრა — ბრემენის „ვერდერი“. ამ გუნდს მაშინ ოტო რეჰაგელი წვრთნიდა, ფეხბურთელებიც კარგი ჰყავდა „ვერდერს“ — ოლივერ რეკი, ფრანკ ნოიბარტი, ული ბოროვკა, კარლ-ჰაინც რიდლე...

ამ „ვერდერმა“ ჩვენამდე მოსკოვის „სპარტაკს“ მოუთავა საქმე — სტუმრად 1:4 კი წააგო, მაგრამ შინ დამატებით დროში 6:2 მოიგო. არადა, „სპარტაკი“ მაშინ საკმაოდ კარგი გუნდი იყო, კონსტანტინ ბესკოვი უნარიანი მწვრთნელი გახლდათ და ჩინებული ფეხბურთელებიც ჰყავდა. ასეთ „სპარტაკს“ „ვერდერმა“ 6:2 მოუგო, რინატ დასაევს ექვსი გოლი გაუტანეს ერთ თამაშში — ჩვენს დამცველ „დინამოს“ რა უნდა ექნა ასეთ გუნდთან?!

ჩავფრინდით გერმანიაში და როცა ბრემენისკენ ავტობუსით მივდიოდით, ფეხბურთელებს იდეა გაგვიჩნდა — მოდით, თეთრი მაისურებით გავიდეთ სათამაშოდ და როცა „ვერდერი“ სამ გოლს გაგვიტანს, გავიხადოთ და ვიყვიროთ — „დინამო“ კაპუტ! ამის შემდეგ კი ბრემენელები ალბათ 3:0-ს იკმარებენ და, ამას ვლაპარაკობდით და ეს სულაც არ იყო მხოლოდ ხუმრობა, ამაში სიმართლე ერია.

მატჩი „ვერდერის“ იერიშებით დაიწყო, თუმცა შტურმი ვერ მოგვიწყვეს. ბრემენელთაგან გოლები ნოიბარტსა და რიდლეს გაგვექცა, მაგრამ არ შევეშინდით — მალე ბურთზე გურული და ბრემენელი მცველები ახტნენ, ბურთი მე მომივიდა, ერთი მეტოქე მოვატყუე, მეკარესთან პირისპირ დავრჩი და გავიტანე „ვერდერი“ 2:1-ს არ ჯერდებოდა და მაგრად შემოგვიტია. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა, თუმც გავძელით.

უნდა ითქვას, რომ ბრემენელებმა საკმაოდ მაღალ დონეზე გვიმასპინძლეს. ნამატჩევს ბანკეტიც გაიმართა, რომელსაც ორივე გუნდი ესწრებოდა. ერთმანეთში ვსაუბრობდით და სასმელსაც მივირთმევდით. საკუთარი თავისთვის ასეთი განტვირთვის უფლება უკვე გვქონდა, 1983 წლის მერე თავს უკვე პროფესიონალად, თავისუფალ ადამიანად ვთვლიდი, მანამდე კი მოყვარულად. ბანკეტზე რეჰაგელმა ჩივაძესა და სულაქველიძეს „ვერდერში“ გადასვლა შესთავაზა — თანხა თქვენ თვითონ დაასახელეთ და ტრანსფერიც მოხერხდებაო, მაგრამ ჩვენებმა რეჰაგელს უარი უთხრეს — ჩივაძე და სულაქველიძე უკვე კარიერას ამთავრებდნენ და ასეთ დროს ძალიან ძნელია, მაღალი დონის გუნდში გადასვლა გადაწყვიტო.

თბილისური მატჩის წინ ძალიან დიდი აჟიოტაჟი იყო. რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ სტადიონი გაივსებოდა და ჩვენც „ვერდერის“ დამარცხების იმედი მოგვეცა — მეოთხედფინალში გასვლის შანსი მოგვეცა და რაც შეგვეძლო, ყველაფერი დავდეთ ამ თამაშისთვის.

სულაქველიძემ „ვერდერის“ საჯარიმოს გარედან დაარტყა და დაბალ კუთხეში გაიტანა. გურულმა ძელს გაარტყა ბურთი, ქეცბაიამ ახლოდან თავით ვერ გაიტანა — მოკლედ, პირველ ტაიმში კიდევ უნდა შეგვეგდო.

შესვენების შემდეგ „ვერდერი“ გაცილებით უკეთ ათამაშდა — 1:0-ით ხომ მეოთხედფინალში ჩვენ გავდიოდით, მაგრამ ბრემენელებმა თამაში შემოატრიალეს და გაათანაბრეს. ისე, მეორე ტაიმში ჩვენც გვქონდა მომენტები — კორღალიძეს უნდა გაეტანა თავურით, მაგრამ რეკმა აუღო. როცა ანგარიში 1:1 გახდა, გოლის გატანა ერთხელაც ვცადეთ — ფაქტობრივად, პირისპირ გავედი რეკთან, მაგრამ „ვერდერის“ მეკარეს ბურთი ფეხში მოვარტყი. ადრეც მითქვამს, ეს ბურთი რომ გამეტანა, დამატებით დროში მაინც გერმანელები გვაჯობებდნენ-მეთქი — „ვერდერი“ პოტენციურად ჩვენზე ძლიერი იყო, ჩვენზე უკეთ იყო მომზადებული ყველანაირად, მათ შორის ფიზიკურადაც, ჩვენ კი „ვერდერს“ მანამდე ვუძალიანდებოდით, სანამ ამის საშუალებას ენთუზიაზმი გვაძლევდა.

თამაშის შემდეგ ჩვენზე აუგი არავის უთქვამს და განა ვის რა უნდა ეთქვა?! ვიტალი დარასელია რომ არ დაღუპულიყო, „დინამო“ მაშინ უხერხემლო გუნდი არ იქნებოდა და იქნებ „ვერდერის“ დარი მეტოქისთვისაც მოგვეგო.

ახლა კი ისეთი ვითარებაა, რომ „დინამოს“ ევროტურნირზე ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვაც უჭირს. არადა, „დინამო“ ჩვენთვის ის ტაძარია, სადაც საკუთარი სისხლი ჩაგვინთხევია...

**თბილისი. 1987 წლის 9 დეკემბერი. 80 000 მაყურებელი**
*უეფას თასის მერვედფინალი. მეორე მატჩი*
**დინამო 1:1 ვერდერი (პირველი მატჩი 1:2)**
1:0 სულაქველიძე (31), 1:1 შაафი (61)
**დინამო:** გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, რევიშვილი (ფანცულაია 67), სვანაძე, სულაქველიძე, ქეცბაია (კორღალიძე 62), გურული, შენგელია
მწვრთნელი: გერმან ზონინი
**ვერდერი:** რეკი, შააფი, ოტენი (ბურგსმიულერი 53), ბრატსეტი, კუტცოპი, ბოროვკა, ჰერმანი, ვოტავა, რიდლე (რულენდერი 89), ვოლტერი, ორდენევიცი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გააფრთხილეს: ცვეიბა, ბოროვკა



სარბიელის არქივიდან

ულვაშა კაპიტნები ბრემენში: მიროსლავ ვოტავა და ალექსანდრე ჩივაძე



სარბიელის არქივიდან

თომას შააფმა ოთარ გაბელიას და „დინამოს“ მუხლი მოადრეკინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე მეძახის მალი

## ფრედი წინაპართა სამშობლოსკენ მიეშურება



ფრედერიკ კანუტი დევიდ პლიტს აფრიკაში გაურბის

„ტოტენჰემის" თავდამსხმელი ფრედერიკ კანუტი თავის კლუბს აუჯანყდა. აფრიკული წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელი, მის წინაპართა სამშობლომ, მალიმ ეროვნულ ნაკრებში მიიწვია და მოახლოებულ აფრიკის თასზე თავის მთავარ მოთამაშედ სახავს.

თუმცა, ლონდონურ კლუბს დიდად არ ეპიტნავება თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის აფრიკულ სანაკრებო შეჯიბრზე გაშვება. თუ კანუტი მალის ნაკრებში სათამაშოდ გაემგზავრება, „ტოტენჰემში" ხუთი თამაშის გაცდენა მოუწევს, რაც მეტად მძიმეა ცხრილის ბოლოში მოქცეული გუნდისთვის.

კანუტის საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია და კლუბმაც ამის გამოყენება სცადა, თუმცა, ფიფამ მტკიცედ დაუდასტურა ფეხბურთელს, რომ მალის ეროვნულ გუნდში გამოსვლა შეუძლია.

თავდამსხმელი უეჭველად აპირებს აფრიკის ყველაზე დიდ შეჯიბრში მონაწილეობას. სწორედ ახალი წლიდან ამოქმედდა ფიფას წესი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს შეუძლია მამის დაბადების ადგილი თავის სამშობლოდ ჩათვალოს.

კანუტი უკმაყოფილოა იმით, რომ „ტოტენჰემმა" მის ზურგს უკან ინტრიგების ხლართვა დაიწყო და ყოველნაირად ცდილობს 26 წლის მოთამაშე აფრიკაში არ გაუშვას. ფორმა, თანაგუნდელებსაც დიდად არ ესმით, რა მნიშვნელოვანი შეჯიბრია აფრიკის თასი და ფრედის ეუბნებიან, მოგცლია ერთი, აუტკივარ თავს რატომ იტკივებო. ამას ისიც ერთვის, რომ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ ჟაკ სანტინის უთქვამს, რახან ჯიბრილ სისე ხუთი მატჩით დასჯილი მყავს, ევრო 2004-ზე სწორედ ფრედი კანუტის მიწვევას ვაპირებდიო.

კანუტიმ თქვა: „მალი ჩემს წინაპართა სამშობლოა, ამ ქვეყნის ნაკრებში თამაში შემთხვევით არ გადამიწყვეტია. საფრანგეთის ნაკრებში ათი კაციც რომ დარჩეს, მე მაინც მალიში ვითამაშებ".

**ირაკლი გამყრელიძე**

# აი, მილერი!

## ფერგიუსონმა ახალი როი კინი იპოვა



ლაიამ მილერი

სერ ალექს ფერგიუსონმა ახალი ყმაწვილი იპოვა: „სელტიკის" 22 წლის ნახევარმცველმა ლაიამ მილერმა წინასწარი შეთანხმება გააფორმა „მანჩესტერ იუნაიტედთან", რომელსაც ზაფხულში შეუერთდება.

მილერი ყველაზე იმედისმომცემ ირლანდიელად ითვლება და იქაური მედიის მიერ უკვე ახალ როი კინადაა გამოცხადებული.

ყმაწვილი კარინგტონის ბაზაზე მანჩესტერელ ფეხბურთელებს გაეცნო, თუმცა „სელტიკს" ამის შესახებ არაფერი სცოდნია. მაგრამ ამით უკანონობა არ მომხდარა, რადგან მილერს ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი და უკვე შეუძლია წინასწარი მოლაპარაკებების წამოწყება. მილერის ოფიციალური ფასი 5 მილიონი გირვანქაა და ის მართლაც ძალიან ჩამოჰგავს მისი ბავშვობის იდეალს, როი კინს. როგორც „იუნაიტედის" კაპიტანი, მილერიც კორკშია დაბადებული. ფერგიუსონს მილერის დათრევა მას შემდეგ გადაუწყვეტია, რაც მის მიერ „ანდერლეჰტის" კარში გატანილი გოლი უნახავს ნომბერში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ვლადიკავკაზში კურბისი გააფორმეს

## ფრანგულ-ოსური კონტრაქტის ზონა



როლან კურბისი

**ვლადიკავკაზის** „ალანიამ" თითქმის ორი თვე მწვრთნელის ძიებას მოანდომა. მოსკოველებს რად უნდა ჩამოვრჩეთ, ჩვენც უცხოელი, მცოდნე და გამოცდილი კაცი გვჭირდებაო. ოსური კლუბის ბოსები ამაოდ არ გარჯილან, რამდენიმე ვარიანტი განიხილეს და საბოლოოდ როლან კურბისი არჩიეს.

50 წლის ფრანგი მწვრთნელი ფეხბურთელობისას ქვეყნის ჩემპიონი სამჯერ გახდა: „მარსელში" (1972) და „მონაკოში" (1978 და 1982). 1974 წელს საბერძნეთში თამაშობდა და „ოლიმპიაკოსის" შემადგენლობაში ოქრო მოიგო. მოგვიანებით „სოშოში" და „ტულონშიც" უბურთავია.

„ტულონი", „ბორდო", „ტულუზა", „მარსელი", „ლანსი" და „აიაჩო" — როლან კურბისი ფეხბურთელობის შემდეგ ამ გუნდებში მწვრთნელობდა. 1999 წელს მისი თავკაცობით „მარსელმა" უეფას თასის ფინალში გააღწია და ქვეყნის ჩემპიონატში ვერცხლიც მოიგო.

ვლადიკავკაზური კლუბის პრეზიდენტის, სულტან ტოკაიევის თქმით, კურბისთან ყველა საკითხი მოგვარებულია, ფრანგთან ორწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმეს და ფორმალობებს ხვალ დაასრულებენ.

როლან კურბისი რუსულ პრემიერლიგაში მეხუთე უცხოელი იქნება. ცსკა-ს პორტუგალიელი არტურ ჟორჟე, „სპარტაკს" იტალიელი ნევიო სკალა, მოსკოვის „დინამოს" და სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" კი ჩეხები, იან გრუებიკი და ვლასტიმილ პეტრჟელა წვრთნიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

*რივალდოს ძალიან სურდა „მილანში" თამაში, მაგრამ კარლო ანჩელოტის გუნდში მისი ადგილი არ მოიძებნა. რივალდო ერთხელ აიბარგა „სან სიროდან" და უკანვე დააბრუნეს. ბრაზილიელს ეს ოინბაზობა არ მოეწონა. მეორედ ჩაალაგა თავისი ბარგი, ანჩელოტის და ბერლუსკონის ხელი დაუქნია და შვიდწლიანი ევრომოგზაურობის შემდეგ სამშობლოში ჩაფრინდა. ამბობდნენ, როგორც სხვა „ძველი ბიჭები", შეიძლება ყატარის გზას გაუდგესო. არ გამართლდა, ბრაზილიელმა ბრაზილია არჩია*

# კრუზეირო რივალდოს ზეიმობს

## ეს რა ნახა ჩემმა თვალმა?!





გუშინწინ ქალაქ ბელუ ორიზონტეს „პამპულას" აეროპორტში რივალდომ ტრაპი ჩაათავა და ქვეყნის ჩემპიონი გუნდის „კრუზეიროს" 250-მდე ფანის ალყაში მოხვდა. 31 წლის ფეხბურთელი „კრუზეიროს" მაისურას მოირგებს და მისი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო იქნება.

აეროპორტიდან „კრუზეიროს" სავარჯიშო მოედანზე გასწიეს, სადაც რივალდო მედიას წარუდგინეს. ბურთსმოწყურებული ენად გაიკრიფა. მსურს, რომ კვლავ გავბედნიერდე მოედანზე დაბრუნებით, „მილანში" გატარებული უიღბლო სეზონის შემდეგ ფორმის აღდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანიაო.

„ახლა კვლავ ბრაზილიაში ვარ და კარლოს ალბერტო პარეირას ახლოდან შეეძლება ჩემი ნახვა. ვიმედოვნებ, რომ ნაკრებში თამაშს კვლავ შევძლებ — თქვა რივალდომ — „კრუზეირო" თავისი ინფრასტრუქტურით არაფრით ჩამოუვარდება „ბარსელონას" ან „მილანს". აქამდე ბელუ ორიზონტეში არასოდეს ვყოფილვარ და გაოცებული დავრჩი იმით, რომ თურმე ჩვენს ქვეყანაშიც შეიძლება საქმის კარგად კეთება".

„კრუზეირო" ბრაზილიის ჩემპიონია და ლიბერტადორესის თასზეც ითამაშებს. რივალდოს თქმით, ეს ჯილდო მას არასოდეს მოუგია და მომავალი სეზონიდან ჩემპიონობის შესანარჩუნებლად და ლიბერტადორესის თასის მოსაგებად თავდაუზოგავად იბრძოლებს.

საუბრის დასასრულს 31 წლის ფეხბურთელმა ვანდერლეი ლუშემბურგო არ დაივიწყა და მწვრთნელი აქო-ადიდა, მისი მსგავსი მსოფლიოში ბარე ორი არ მოიძებნებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**





რივალდომ ბელუორიზონტელებს თავი კენწლაობით მოაწონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

პაპუნა კედია

# უბრალოდ, მორიგი ტური



კრისტიანო დონი

**„სამპდორია“**, საყოველთაო აღიარებით, მიმდინარე იტალიური სეზონის ყველაზე სენსაციური, უფრო სწორად კი მოულოდნელობებით სავსე გუნდია, რომელიც სასექტემბროდ ევროთასებისკენ ცდილობს გზის გაკვალვას. სერია B-დან ზევით ახალაღზევებული ვალტერ ნოველინო და მისი ფეხბურთელები შვიდი თამაშის განმავლობაში დაუმარცხებლად მიიწევდნენ წინ და ამ ხნის მანძილზე რამდენიმე ყოყოჩი მეტოქეც დაამარცხეს, ამ ტურში კი ქვეყნის ჩემპიონს, „იუვენტუსს“ მასპინძლობენ.

გენუელთა გასახარად დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა ნახევარმცველ კრისტიანო დონის, რომელიც მათ თამაშს დამატებით გამომგონებლობას შემატებს, ხოლო სერჯო ვოლპის და აიმო დიანას გარლვევები, ბუნებრივია, ტურინელთა თავს დატეხილი ცალკე ხიფათი იქნება.

„იუვეს“ წინა შეხვედრაში „პერუჯასთან“ არ ჰყავდა ლილიან ტურამი, ალესიო ტაკინარდი, ედგარ დავიდსი და ნიკოლა ლეგროტალიე, რომლებიც, სავარაუდოდ, არც გენუაში ითამაშებენ, ასე რომ, იგორ ტუდორი და ენცო მარესკა ძირითად შემადგენლობაში დარჩებიან.

„რომა“ კი სწორედ იმ პერუჯაში თამაშობს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, როგორც „იუვენტუსის“ წინა მეტოქე — ხომ წარმოგიდგენიათ როგორ უმადლიან პერუჯელები კალენდარს. საქმე ასეა: „რომამ“ წინა ტურში „მილანთან“ შინ წააგო და თუ არ უნდა ვილაც-ვილაცები კრიზისზე ალაპარაკდნენ, „სტადიო კურიზე“ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ეს „პერუჯას“ პირველ საშინაო დამარცხებას უდრის. სხვათა შორის, წინა ტურში „რომასა“ და „მილანის“ თამაშში იმდენად შედეგს არ მოუხდენია განსაკუთრებული ეფექტი (ფეხბურთი ფეხბურთია და გუნდი ყოველთვის ვერ მოიგებს), რამდენადაც რომაელთა თვალსაჩინოდ სუსტმა მოქმედებამ აბსოლუტურად ყველა რგოლში. ამასთან, ამბობენ, რომ ფაბიო კაპელოსგან პერუჯაში განსაკუთრებულ ტაქტიკურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. შემადგენლობაშიც იგივე ამბებია: ვინჩენცო მონტელა მუხლის ოპერაციის შემდეგ ჯერ არ არის კარგ ფორმაში. ასე რომ, ფრანჩესკო ტოტის და ანტონიო კასანოს წინ იონ კარეუ ჰყავთ გაშვებული.

ახლა „პერუჯაზე“... ზემოთ კი ვთქვით, რომ ამ გუნდს შინ ჯერ თამაში არ წაუგია, მაგრამ ვაი, რომ აგერ უკვე მე-16 ტური მოადგა კარს და ერთხელაც არ გაუმარჯვია. სამაგიეროდ, „სტადიო კურიზე“ ჩატარებულ რვა შეხვედრაში გუნდმა ძალიან ლამაზი ფეხბურთი აჩვენა, თოთხმეტი გოლი გაიტანა და ამდენივე გაუშვა.

„პარმა“ „ინტერს“ მასპინძლობს, ხოლო „ინტერი“ სერია A-ს ერთ-ერთი ყველაზე კარგ ფორმაში მყოფი გუნდია. „პარმამ“, მოგეხსენებათ, „პარმალატთან“ დაკავშირებულ ამბებს შესაძლოა, ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გადააყოლოს, თუმცა ამას თავი დავანებოთ. რაც შეეხება „ინტერს“, სტანდარტულად ვთქვათ, რომ რაც სათავეში ალბერტო ძაკერონი ჩაუდგა, შვიდი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთადერთი წააგო, „ლაციოსთან“. ამ თამაშში „შავ-ლურჯებს“ ეყოლებათ ალვარო რეკობა, რომელიც ობაფემი მარტინსის ადგილს დაიკავებს, მაგრამ კვლავ არ იქნებიან მარკო მატერაცი, ფრანჩესკო კოკო, კრისტიან ძანეტი და დისკვალიფიცირებული მატიას ალმეიდა.

დაბოლოს, „მილანი“ — „რეჯინა“ ვახსენოთ, რომელშიც შავ-წითელი მაისურით ვერ ითამაშებენ ალესანდრო ნესტა, მასიმო ამბროზინი, ფილიპო ინძაგი, იონ დალ ტომასონი და კახა კალაძე. მოსალოდნელია, რომ ამ შეხვედრაში კარლო ანჩელოტი კვლავ მხოლოდ ერთი წინ წაწეული თავდამსხმელით, ანდრეი შევჩენკოთი ითამაშებს.

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | — | უდინეზე |
| პარმა | — | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| ემპოლი | — | ანკონა |
| ლაციო | — | ბრეშა |
| ლეჩე | — | ბოლონია |
| მილანი | — | რეჯინა |
| პერუჯა | — | რომა |
| სამპდორია | — | იუვენტუსი |
| სიენა | — | მოდენა |

**საპლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 15 | 11 | 3 | 1 | 32:6 | 36 |
| იუვენტუსი | 15 | 10 | 3 | 2 | 32:15 | 33 |
| მილანი | 14 | 10 | 3 | 1 | 24:7 | 33 |
| ინტერი | 15 | 9 | 4 | 2 | 28:10 | 31 |
| ლაციო | 15 | 9 | 1 | 5 | 24:19 | 28 |
| პარმა | 15 | 8 | 3 | 4 | 24:18 | 27 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 18:15 | 24 |
| უდინეზე | 15 | 7 | 3 | 5 | 19:17 | 24 |
| კიევო | 15 | 6 | 3 | 6 | 17:18 | 21 |
| რეჯინა | 15 | 3 | 8 | 4 | 14:22 | 17 |
| ბრეშა | 15 | 3 | 7 | 5 | 25:28 | 16 |
| მოდენა | 15 | 4 | 4 | 7 | 12:18 | 16 |
| სიენა | 14 | 3 | 6 | 5 | 18:16 | 15 |
| ბოლონია | 15 | 3 | 5 | 7 | 14:22 | 14 |
| პერუჯა | 15 | 0 | 9 | 6 | 19:30 | 9 |
| ლეჩე | 15 | 2 | 3 | 10 | 15:31 | 9 |
| ემპოლი | 15 | 1 | 3 | 11 | 8:30 | 6 |
| ანკონა | 15 | 0 | 4 | 11 | 7:28 | 4 |

## ინგლისი

სოტე ბაკალია





დენის ბერჰკამპი (მარცხნივ) დღეს „არსენალისთვის“ ვერ გაიქცევა

# დიდს მანჩესტერში ნახავთ

| XXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | — | მიდლსბრო |
| ბირმინგემი | — | საუთჰემპტონი |
| ბლექბერნი | — | ბოლტონი |
| ჩარლტონი | — | ვულვზი |
| ფულემი | — | ევერტონი |
| ლიდსი | — | ტოტენჰემი |
| ლივერპული | — | ასტონ ვილა |
| პორტსმუთი | — | სიტი |
| **ხვალ** | | |
| ლესტერი | — | ჩელსი |
| მანჩესტერი | — | ნიუკასლი |

**საპლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 20 | 16 | 1 | 3 | 40:14 | 49 |
| არსენალი | 20 | 13 | 7 | 0 | 36:13 | 46 |
| ჩელსი | 20 | 13 | 3 | 4 | 36:17 | 42 |
| ჩარლტონი | 20 | 8 | 7 | 5 | 28:23 | 31 |
| ლივერპული | 19 | 8 | 5 | 6 | 29:21 | 29 |
| ნიუკასლი | 20 | 7 | 8 | 5 | 27:22 | 29 |
| ფულემი | 20 | 8 | 4 | 8 | 31:28 | 28 |
| საუთჰემპტონი | 20 | 7 | 6 | 7 | 18:15 | 27 |
| ასტონ ვილა | 20 | 7 | 6 | 7 | 21:24 | 27 |
| ბირმინგემი | 19 | 7 | 5 | 7 | 17:24 | 26 |
| ევერტონი | 20 | 6 | 6 | 8 | 24:26 | 24 |
| მიდლსბრო | 19 | 6 | 6 | 7 | 16:19 | 24 |
| ბოლტონი | 20 | 5 | 8 | 7 | 21:30 | 23 |
| სიტი | 20 | 5 | 7 | 8 | 28:28 | 22 |
| ბლექბერნი | 20 | 6 | 4 | 10 | 28:31 | 22 |
| ტოტენჰემი | 20 | 6 | 3 | 11 | 23:30 | 21 |
| ლესტერი | 20 | 4 | 7 | 9 | 28:31 | 19 |
| პორტსმუთი | 20 | 5 | 4 | 11 | 21:30 | 19 |
| ლიდსი | 20 | 4 | 5 | 11 | 18:41 | 17 |
| ვულვზი | 19 | 3 | 6 | 10 | 18:41 | 15 |

**ისე მოხდა**, რომ პრემიერლიგის ამ ტურში დიდი ჯახების სიმცირეა. კაცს თვალი „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ნიუკასლის“ ხვალინდელი შებმისკენ გაექცევა, დანარჩენი თამაშები კი ისეთი არ არის, სულმოუთქმელად ელოდო.

ოლდტრეფორდული მატჩის თაობაზე კი მწირი, მაგრამ მაღალმხატვრული ცნობა მოვიდა: ალექს ფერგიუსონის ჩემპიონ გუნდს ძრავა დაქოქილი აქვს — ტიმ ჰოვარდი, რიო ფერდინანდი და პოლ სქოულზი სულ ცეცხლს აფრქვევენო. „ნიუკასლზე“ კი წერია, რაც წინა ტურში „ლიდსს“ სძლია, საჩემპიონთალიგო ადგილს ორ ქულამდე მიუახლოვდა, თავის ყოფილ კლუბთან („ლიდსთან“) მედგრად მებრძოლ ჯონათან ვუდგეიტს კი „ოლდ ტრეფორდზე“ დიდი ჯაფა დაადგებაო. რატომ გამოარჩია ამ ცნობის დამწერმა მაინცდამაინც ჰოვარდი, ფერდინანდი, სქოულზი და ვუდგეიტი, სწორედ რომ ვერ მოგახსენებთ.

შუა კვირაში „ევერტონთან“ ფრეზე გაყრილ „არსენალს“ კვლავაც დააკლდება კუნთმტკივანი დენის ბერხკამპი და კოჭმტკივანი სილვენ ვილტორდი. „მეთოფენი“ „მიდლსბროს“ მასპინძლობენ და დაშავებულთა შემცვლელებად ნიგერიელი ნვანკო კანუ და ყმაწვილი ფრანგი ჟერემი ალიადირი ეგულებათ. ურიგო არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ კანუმ წინა ტურში გოლიც გაიტანა.

„ბოროს“ პრობლემა კი ფორვარდ მაიკლ რიკეტსის და მეკარე მარკ შვარცერის ტრავმებია. მათი თამაში სათუოა, თუმცა მცირედი შანსი მაინც არის. აი, ნახევარმცველი ჯონათან გრინინგი რომ ვერ ითამაშებს, გადაწყვეტილი ამბავია.

ლიდერს უკვე გვარიანად ჩამორჩენილი „ჩელსი“ ლესტერში ჩადის იქაურ სიტელებთან სათამაშოდ. ლონდონელებს არ ეყოლებათ არგენტინელი ერნან კრესპო, რომელიც კუნთს შეუწუხებია და მას ეიდურ გუდიონსენი შეცვლის. საფიქრებელია, რომ ბოლო პერიოდის წარუმატებლობის მერე კლაუდიო რანიერი ნახევარდაცვაში რაღაცრაღაცეებს შეცვლის. ამბობენ, იესპერ გრონკიაერი სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებსო.

მასპინძლებს კი დაუბრუნდათ კაპიტანი მეტ ელიოტი, რომელმაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. მის გარდა გუნდს ტრავმამმოშუშებულები ჯონ კურტისი და ფრენკ სინკლერიც უბრუნდებიან.

„ჩელსის“ დამარცხების მერე „ლივერპული“ „ასტონ ვილას“ მასპინძლობს და ცხადია, ფავორიტადაც ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ორი საუკეთესო ფეხბურთელი — მაიკლ ოუენი და სტივენ ჯერარდი აკლია. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ოუენი საჭიროების შემთხვევაში სათადარიგოთა სკამიდან ადგეს.

„ასტონ ვილა“, თუ გახსოვთ, ერთ ხანს გასავარდნთა შორის ტრიალებდა, მერე კი გარდაიქმნა. ბირმინგემელებმა ბოლო ხუთ მატჩში 13 ქულა დააგროვეს და მეცხრე ადგილზე აცოცდნენ. მათ, ისევე როგორც წინა ტურებში, ახლაც კოლუმბიელი ხუან პაბლო ანხელის გოლების იმედი აქვთ. ამ ფორვარდმა წინა ცხრა შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა.

„ფულემმა“, რომელმაც სეზონი ძალიან კარგად დაიწყო, ბოლო ორი თამაში წააგო, ამ ტურში კი „არსენალთან“ ქულამოპოვებულ „ევერტონს“ მასპინძლობს. ლონდონელებს ცხადია, გაუჭირდებათ, მაგრამ ლივერპულელებს ბლომად დაშავებული ფეხბურთელი ჰყავთ, რაც „ფულემის“ წისქვილზე ასხამს წყალს. ჩამოვთვალოთ: „ევერტონს“ დღეს კევინ კილბეინი, ალან სტაბსი და ტომას გრავესენი დააკლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# ანოეტას მეფური საჩუქარი შეყვარს

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | — | რეალი |
| ალბასეტე | — | ვალენსია |
| მალიორკა | — | სელტა |
| **ხვალ** | | |
| ატლეტიკო | — | ბილბაო |
| ბარსელონა | — | სარაგოსა |
| ბეტისი | — | მალაგა |
| დეპორტივო | — | რასინგი |
| ოსასუნა | — | სევილია |
| ვილიარეალი | — | ვალიადოლიდი |
| მურსია | — | ესპანიოლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:18 | 42 |
| ვალენსია | 18 | 12 | 4 | 2 | 35:14 | 40 |
| დეპორტივო | 18 | 11 | 3 | 4 | 31:14 | 36 |
| ოსასუნა | 18 | 7 | 7 | 4 | 19:14 | 28 |
| ატლეტიკო | 18 | 8 | 4 | 6 | 23:22 | 28 |
| ვილიარეალი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:21 | 27 |
| მალაგა | 18 | 8 | 2 | 8 | 24:22 | 26 |
| ბილბაო | 18 | 7 | 5 | 6 | 23:21 | 26 |
| ვალიადოლიდი | 18 | 6 | 7 | 5 | 22:23 | 25 |
| სევილია | 18 | 6 | 6 | 6 | 26:21 | 24 |
| რასინგი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:25 | 24 |
| ბარსელონა | 18 | 6 | 6 | 6 | 23:25 | 24 |
| მალიორკა | 18 | 7 | 2 | 9 | 21:30 | 23 |
| ალბასეტე | 18 | 6 | 2 | 10 | 21:24 | 20 |
| სარაგოსა | 18 | 5 | 5 | 8 | 18:21 | 20 |
| ბეტისი | 18 | 4 | 7 | 7 | 21:22 | 19 |
| სოსიედადი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:29 | 18 |
| სელტა | 18 | 3 | 8 | 7 | 22:30 | 17 |
| მურსია | 18 | 1 | 9 | 8 | 15:29 | 12 |
| ესპანიოლი | 18 | 3 | 2 | 13 | 14:33 | 11 |

„რასინგს" დაკლებული აქვს 1 ქულა

პრიმერადივიზიონის ჩემპიონი და ამჟამინდელი ლიდერი მადრიდის „რეალი" დღეს ბასკურ „ანოეტაზე" შარშანდელ მეორეადგილოსან „სოსიედადს" დაუპირისპირდება. რაიმონდ დენიოს გუნდის საამსეზონო მდგომარეობას კი სახარბიელო ნამდვილად ეთქმის. თვით ისეთი დაუნდობელი (კონკურენციის თვალსაზრისით) გათამაშებისთვისაც კი, როგორიც პრიმერადივიზიონია, სანსებასტიანელთა ფიასკო მეტისმეტად უჩვეულოდ მოსჩანს — შარშან ამ დროს მართლაც რომ მძინვარე „სოსიედადი" სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული თაოსანი გახლდათ, ჩემპიონატში ერთი შეხვედრაც არ წაეგო (!) და სამეფო „რეალს" 3-ქულიანი სამაღლიდან ქედმაღლურად დასცქეროდა. წლეულს კი... გუნდი, რომელსაც 2002-03-ის სეზონში დელ ბოსკეს კასტილიურმა გრანდმა რის ვაი-ვაგლახით გამოგლიჯა პირველი ადგილი, ახლა სეგუნდადივიზიონის საფრთხეს აშკარად ხედავს. დენიოს ამჟამინდელი მონაგარი თავზარდამცემია — 18 შეხვედრიდან 4 გამარჯვება.

| 19.00 | 5107 | ლივერპული-ა.ვილა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 5108 | პორტსმუთი-სიტი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 5109 | კიევო-უდინეზე | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 00.30 | 5111 | სოსიედადი-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| | | **11 იანვარი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5112 | ლესტერი-ჩელსი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 20.05 | 5113 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 18.00 | 5114 | ემპოლი-ანკონა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5115 | ლაციო-ბრეშა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 18.00 | 5116 | მილანი-რეჯინა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 5117 | პერუჯა-რომა | 8,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.00 | 5118 | სამპდორია-იუვენტუსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 5119 | სიენა-მოდენა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 5120 | ლეჩე-ბოლონია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 5121 | ალბასეტე-ვალენსია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 20.00 | 5122 | ოსასუნა-სევილია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 5123 | ბარსელონა-სარაგოსა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 5124 | დეპორტივო-რასინგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 5125 | მალიორკა-სელტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5126 | მურსია-ესპანიოლი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 5127 | ბეტისი-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 5128 | ვილიარეალი-ვალიად. | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 24.00 | 5129 | ატლეტიკო-ბილბაო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# ცუდად ჯდომას ხშირად სროლა სჯობია

## მარკოიშვილი სკამიდან ადგა და იტალიიდან გერმანიაში წავიდა

***იტალიური „ბენეტონიდან“ ბუნდესლიგის „მიტელდოიჩერში“ განათხოვრებული მანუჩარ მარკოიშვილი გერმანიაში გუშინწინ ჩავიდა. მან უკვე ივარჯიშა ახალ გუნდთან და მწვრთნელიც, 6 წლის მანძილზე გერმანიის ნაკრების თავკაცი ჰენრიხ დეტმანიც გაიცნო. მარკოიშვილს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით და საუბარი ტრევიზოდან წამოსვლის მიზეზით დავიწყეთ...***

— მიზეზი მხოლოდ ერთი იყო — უთამაშებლობა. მე და „ბენეტონის“ ხელმძღვანელობა შევთანხმდით, რომ ისეთ გუნდში გადავსულიყავი, სადაც მოედანზე 20-25 წუთს მაინც გავატარებდი.

— კი მაგრამ, აქამდე რატომ არ გაგანათხოვრეს, საცაა სატრანსფერო სეზონი დაიხურება...

— აქამდე, ასე თუ ისე, მიწევდა თამაში, ამ ბოლო ხანებში კი ძალიან იშვიათად გავყავდით მოედანზე. ასე იმიტომ ხდებოდა, რომ ჩემს პოზიციაზე მოთამაშე კალათბურთელებს წამყვანი როლი ეკისრებათ „ბენეტონში“ და ჯერ იმ დონეზე არ ვარ, მათ კონკურენცია გავუწიო. ევანსი ბულერი, პიტისი, ჯოვანონი — ვარსკვლავები არიან.

— ვინ გადაწყვიტა, რომ „ბენეტონს“ დატოვებდი?

— საბოლოო სიტყვა ჩემზე იყო, მე რომ უარი მეთქვა, ვერსადაც ვერ გამიშვებდნენ, „ბენეტონთან“ 6-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ასე ჯობდა ჩემთვის. ისე კი, პირველად კლუბის პრეზიდენტმა ჩამოაგდო სიტყვა ჩემს განათხოვრებაზე. მანუჩარისთვის სკამზე ჯდომა დამღუპველიაო და იქ გავუშვათ, სადაც „ბენეტონში“ შეძენილ საკალათბურთო ცოდნას მოედანზე გამოიყენებსო. მოვიდნენ და მკითხეს, თუ სკამზე ჯდომა გინდა, ჩვენთან დარჩი, თუ დახვეწა-განვითარება — შედარებით სუსტ გუნდს შეგირჩევთო. არცაა საკამათო, რომ წამოსვლა ჯობდა, თან მხოლოდ სეზონის ბოლომდე დავეთხოვე ტრევიზოელებს.

— გერმანული კლუბი რატომ შეირჩა?

— რომ ვთქვა, ბევრი მსურველი გამოჩნდაო, მოგატყუებ. იყო ფრანგული კლუბის ვარიანტი, მაგრამ საბოლოოდ „მიტელდოიჩერში“ აღმოვჩნდი. ბენეტონელებს სურდათ, რომ კარგ მწვრთნელთან ვყოფილიყავი, თან მინიმუმ 20 წუთით თამაში მქონოდა გარანტირებული. „მიტელდოიჩერს“ ჰენრიხ დიტმანი წვრთნის, რომელიც საუკეთესო გერმანელ სპეციალისტად ითვლება. იგი 6 წელი თავკაცობდა გერმანიის ნაკრებს. დეტმანს ახლოს იცნობს „ბენეტონის“ მწვრთნელი ეტორე მესინა და გარიგებაც იოლად მოგვარდა.

— რა გუნდია „მიტელდოიჩერი“?

— ესაა პატარა ქალაქის — ვაინელფელსის გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის. ერთხელ უკვე ვივარჯიშე, ხალხი გავიცანი, ცუდი ბიჭები არ არიან.

— რაიმე ოფიციალური დოკუმენტი ხომ არ გააფორმეს „ბენეტონმა“ და „მიტელდოიჩერმა“?

— არა, გარიგება სიტყვიერია, სეზონის ბოლომდე ვითამაშებ და ისევ „ბენეტონში“ დავბრუნდები. კლუბმა უნდა მომცეს ბინა და სხვა აუცილებელი პირობებითაც დამაკმაყოფილოს. ამჟამად სასტუმროში ვარ, მომავალ შაბათს კი პირველი მატჩი გველის.

— ესე იგი, ითამაშებ, „მიტელდოიჩერს“ გარანტია მიუცია „ბენეტონისთვის“...

— გარანტია რა, თუ ვერ ვიყოჩაღე, ვინ მათამაშებს. თუმცა ეს ალბათ არ მოხდება, „ბენეტონში“ იმხელა გამოცდილება მაინც შევიძინე, რომ ბუნდესლიგის საშუალო გუნდში თავი არ შევირცხვინო. ვფიქრობ, რომ ხშირად მომიწევს მოედანზე ყოფნა, სათამაშო პრაქტიკას მივიღებ და ტრევიზოშიც უფრო გაძლიერებული დავბრუნდები.

**ირაკლი პერტაია**

## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 7-8 იანვარი**

# ევროლიგამ ქართული გვარები დაკარგა

## მდივნის სკამზე პეტრო დაჯდა

**ზაზა ფაჩულიას** კვალად ევროლიგას ერთი ქართველიც დააკლდა. ამ ტურნირის შარშანდელი ფინალისტი და წლეულსაც იქ მოხვედრის მოსურნე „ბენეტონი“ ამიერიდან მანუჩარ მარკოიშვილის გარეშე შეებრძოლება მეტოქეებს — ჭაბუკი ქართველი უკანახაზელი გუშინწინ გერმანულ „მიტელდოიჩერში“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს.

„ბენეტონმა“ სეზონი უჩვეულოდ უფერულად დაიწყო, თუმც გზადაგზა რამდენიმე ყოჩაღი კალათბურთელი შეიმატა და ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. ბოლო ხანებში მარკოიშვილი სულ უფრო ცოტა დროს ატარებდა მოედანზე და აგერ, ტრევიზოსაც დროებით დაემშვიდობა.

მარკოიშვილი კი იყო „გამოსათხოვარი“ მატჩის განაცხადში, მაგრამ ვალენსიურ „პამესასთან“ არ უთამაშია. შეხვედრა მეტად პრინციპული გახლდათ, რაკილა ტრევიზოელები ჯგუფში ლიდერობის თანამოზიარეს ხვდებოდნენ. თუმც მატჩი საკადრისად დაძაბული ვერ გამოდგა, „ბენეტონმა“ საკმაოდ იოლად სძლია ვარსკვლავებით გაძეძგილ „პამესას“.

მარკოიშვილი ევროლიგას ემშვიდობება, სამაგიეროდ, საცაა ამ ტურნირში დავით უგრეხელიძე ჩაებმება. ქართველი ცენტრის ევროლიგურ დებიუტს ამ ტურში ველოდით, თუმც ბოლონიურ „სკიპერთან“ შეხვედრაში უგრეხელიძე სლოვენიური „კრკას“ განაცხადში არ გამოჩენილა. ნოვომესტოურმა კლუბმა კი ისევ წააგო.

დამარცხდა მეორე სლოვენიური და ასევე „ქართული“ გუნდი „ოლიმპიაც“. ვლადიმერ ბოისამ კვლავ რიხით უკაპიტნა ლიუბლიანელებს, თუმც მისიანებს იმ დღეს ბელგრადში შანსი არ ჰქონიათ „პარტიზანთან“.

სტუმრები თავიდანვე ჩამორჩნენ და მთელი მატჩის განმავლობაში ვაი-ვაგლახით ცდილობდნენ სერბების წამოწევას, რაც თამაშის მიწურულს მოახერხეს კიდეც. ვლადიმერ ბოისამ არცთუ ბევრი, 7 ქულა ჩააგდო, თუმც ოლიმპიელთა საფინალო შტურმში აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალწვეულ ალოიზიუს ანაგონისთან ერთად. დასრულებამდე 4 წუთით ადრე „პარტიზანები“ 3 ქულითღა იგებდნენ და ოლიმპიელებს სულ ცოტაც რომ მოენდომებინათ, ბელგრადიდან თავაწეულები წამოვიდოდნენ. ასე კი მორიგი მარცხი იწვნიეს და ჯგუფური ეტაპის პირველი წრის ბოლოსთვის გამსვლელ ოთხეულს ჩამოშორდნენ.

A ჯგუფშივე ალზევდა გიორგი მდივნის „პო ორტეზი“, რომელსაც უკვე ძნელია, უწოდო მდივნის გუნდი, რაკი ქართველი ფორვარდი კარგა ხანია, არც ევროლიგაში გამოჩენილა და არც ფრანგულ ჩემპიონატში. მდივანის ნაცვლად პოელთა დუბლებიდან უკვე სისტემატურად ხვდება ძირითადში გიოს თანატოლი ჟულიენ პეტრო, რომელმაც თავისი ორქულიანი წვლილი შეიტანა გუშინწინ „ციბონას“ ძლევაში.

ეს რაც შეეხებოდა ქართველებს, ისე კი, ამ ტურში ევროლიგაში ბევრი რამ მოხდა საინტერესო. მთავარი ქარტეხილები B ჯგუფში დატრიალდა, რომლისთვისაც „სიკვდილის ჯგუფი“ შეურქმევიათ და აკი მართლდება კიდეც ეს სახელი. „სიკვდილის ჯგუფი“ ხომ იმისაა, რომ იქ ნებისმიერს ნებისმიერის დამარცხება ძალუძს. ჰოდა, ადგა ერთადერთი გამარჯვების მქონე „უნიკახა“ და მოსკოვის ცსკა-სთან ერთად ჯგუფის თანალიდერი „მაკაბი“ ბეჭებზე დადო.

არადა, ებრაელებს ერთი პირობა გამარჯვება ჯიბეში ეგულებოდათ — მესამე მეოთხედის მიწურულს, როგორც იქნა, გატეხეს ესპანელები და სადებიუტო წუთების შემდეგ ლიდერობა დაიბრუნეს. მაკაბელებს უკვე აღარ ეპარებოდათ ეჭვი საკუთარ გამარჯვებაში, როცა ვულფ ჰერმანის ორქულიანის შემდეგ ბოლო მეოთხედში 6 ქულით დაწინაურდნენ.

საფინალო სირენამდე ხუთიოდ წუთი რჩებოდა და ვერავინ იფიქრებდა, წინ გაჭრილ „მაკაბის“ თუ მოგება ხელიდან გაუფრინდებოდა. ესპანელებმა შესაშური ჟინი და სიზუსტე გამოიჩინეს, მუსტაფა სონკოსა და ლუის ბალოკის დახმარებით ებრაელებს აპოკალიფსი მოუწყვეს და 16:0 ჩათამაშებული სამწუთეულის შემდეგ ხმაურიანი გამარჯვებაც გამოჭედეს.

გრანდი წამოაქციეს სიენაშიც, სადაც აბობოქრებული რუსული არმია ჩავიდა და იტალიელებისგან გასილაქდა. ცსკა-ს დამარცხებაში ბებერ რობერტო კიაჩიგის მიუძღვის ლომის წილი, თუმც საკვანძო ბურთები მაკედონიელმა ვრბიცა სტეფანოვმა, საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემაც ჩააგდო.

დრამატულ ფინალში არმიელების ხსნა ყოფილმა სიენელმა მირსად თურქჯანმა იკისრა, მაგრამ თურქის სურვილმა, იტალიელების დამწუხრებით რუსები ესიამოვნებინა, ასე ვთქვათ, ჩაილურის არაყი დალია.

**ირაკლი პერტაია**



ოლიმპიელი მარკო მარავიჩი „პარტიზან“ ფრედერიკ ჰაუსს გაურბის

### A ჯგუფი

**ბარსელონა 86:65 რომა**
ბარსელონა: გრიმაო (17), ნავარო (13)
რომა: ტუშეკი (17), ალექსანდერი (13)

**აეკ 83:82 ულქერი**
აეკ: ჯენკინსი (28), ხაძისი (17)
ულქერი: ბუკერი (23), ბლერი (14)

**პარტიზანი 77:67 ოლიმპია**
პარტიზანი: კრსტიჩი (16), კეჟმანი (13)
ოლიმპია: მარავიჩი (13), ბოისა (25 წუთი, 7 ქულა)

**პო ორტეზი 105:89 ციბონა**
პო ორტეზი: დუბოსი (21)
ციბონა: პენი (17), ზისისი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 8 | 7 | 1 | +98 | 15 |
| პარტიზანი | 8 | 5 | 3 | +41 | 13 |
| პო ორტეზი | 8 | 4 | 4 | +36 | 12 |
| ციბონა | 8 | 4 | 4 | -27 | 12 |
| ოლიმპია | 8 | 3 | 5 | -30 | 11 |
| რომა | 8 | 3 | 5 | -30 | 11 |
| აეკ | 8 | 3 | 5 | -35 | 11 |
| ულქერი | 8 | 3 | 5 | -53 | 11 |

### B ჯგუფი

**კრკა 58:66 სკიპერი**
კრკა: ჯილბერტი (17)
სკიპერი: ბაზილე (23)

**პანათინაიკოსი 91:80 ჟალგირისი**
პანათინაიკოსი: ალვერტისი (19), ხაძივრეტასი (17)
ჟალგირისი: საბონისი (18), ბერიჩი (18)

**უნიკახა 87:75 მაკაბი**
უნიკახა: ბალოკი (23), ჰერმანი (18)
მაკაბი: ტომასი (15), ვუიჩიჩი (15)

**სიენა 79:73 ცსკა**
სიენა: კიაჩიგი (16), ვანტერპული (14)
ცსკა: ჰოლდენი (19), ბრაუნი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 6 | 2 | +86 | 14 |
| მაკაბი | 8 | 6 | 2 | +41 | 14 |
| სკიპერი | 8 | 5 | 3 | +9 | 13 |
| ჟალგირისი | 8 | 4 | 4 | +9 | 12 |
| პანათინაიკოსი | 8 | 4 | 4 | +5 | 12 |
| სიენა | 8 | 4 | 4 | -3 | 12 |
| უნიკახა | 8 | 2 | 6 | -39 | 10 |
| კრკა | 8 | 1 | 7 | -108 | 9 |

### C ჯგუფი

**ალბა 80:73 ვილერბანი**
ალბა: პეტროვიჩი (18), კოლინზი (17)
ვილერბანი: გულიაში (16)

**ოლიმპიაკოსი 98:92 შლიონსკი**
ოლიმპიაკოსი: დიამანტოპულოსი (23), ლიადელისი (18)
შლიონსკი: გრირი (31), ვოიჩიკი (21)

**ეფესი 74:65 ტაუ**
ეფესი: ლანგდონი (19)
ტაუ: სკოლა (18)

**ბენეტონი 90:72 პამესა**
ბენეტონი: გარბახოსა (18), იდნი (16)
პამესა: ობერტო (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 8 | 6 | 2 | +83 | 14 |
| ეფესი | 8 | 6 | 2 | +53 | 14 |
| პამესა | 8 | 5 | 3 | +14 | 13 |
| ტაუ | 8 | 4 | 4 | +26 | 12 |
| შლიონსკი | 8 | 4 | 4 | -36 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 3 | 5 | -20 | 11 |
| ალბა | 8 | 2 | 6 | -46 | 10 |
| ვილერბანი | 8 | 2 | 6 | -74 | 10 |



ჯეფ ვან განდი ნიუ იორკში ომახით დაბრუნდა

— 8 იანვარი —

**მინესოტა 96:75 პორტლენდი**

**მინესოტა:** კასელი (10), ჰასელი (2), სპრიუელი (25), გარნეტი (26), ჯონსონი (4); მედსენი (10), მილერი (8), ჰოიბერგი (7), გოლდვაირი (2), ტრენტი (2), ები

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (6), მაკინისი (15), ვუდსი (10), ვოლესი (8), რენდოლფი (19); *სტეფანია* (22 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი), პატერსონი (6), ანდერსონი (5), პერსონი, ვრანიესი

**ნიუ იორკი 97:111 ჰიუსტონი**

**ნიუ იორკი:** ვან ჰორნი (17), ნორისი (17)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (27), ჯექსონი (21)

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვან განდის განდაგანა

## ნიუ იორკში ყოფნა, ძმაო, ძნელია

გუნდიც „მინესოტასნაირი“ უნდა — „მგლებს“ ძირითადის სამი კალათბურთელი ვალი შჩერბიაკი, მაიკლ ოლოვოკანდი და ტროი ჰადსონი ჰყავთ დაშავებული და ბოლო 19 მატჩიდან გუშინწინ მე-16 მოიგეს.

„მფრინავი მგლები“ — კევინ გარნეტი და ლატრელ სპრიუელი ისეთ იშტაზე არიან, ლიგის ყველაზე თავმოყვარე გუნდს არ ინდობენ და გუშინწინ პორტლენდიდან მინეაპოლისში რის ვაი-ვაგლახით ჩაფრენილ „ბლეიზერსს“ დაუთმობდნენ რამეს? ეგებ იკითხოთ, „პორტლენდი“ რა დაბალი ღობე ნახეთო და შეცდებით. ვლადიმერ სტეფანიას გუნდს შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი, როცა მშობლიურ ქალაქსგარეთ თამაშობს. „პორტლენდს“ ამ სეზონში 14 მატჩი გაუმართავს სტუმრად და 13-ში დამარცხებულა.

ახლა კი, როცა მინეაპოლისში ორეგონელები დეილ დევისის გარეშე ჩავიდნენ, გამარჯვებისა ალბათ მათ თავკაც მორის ჩიკსსაც არ სჯეროდა. დევისი თურმე პორტლენდის დასავლეთ ფერდობზე ცხოვრობს და საშინელ თოვლ-ჭყაპში ვერ მიუსწრია „ბლეიზერსის“ აეროპორტისკენ მიმავალი ავტობუსისთვის. ისე კი, ჩიკსის გუნდს ბეწვზე გაუსწრია პორტლენდიდან, მათი გაფრენა ყოფილა და აეროპორტი დაკეტილა, ავდარში მქროლ თვითმფრინავს კი გვარიანი დაგვიანებით ჩაუღწევია მინეაპოლისში.

„პორტლენდმა“ მთლად უიმედოდ წააგო, დევისის არყოფნაში კი ვლადიმერ სტეფანიამ 22 წუთი ითამაშა. ქართველი ცენტრი ძირითადად ფრედ ჰოიბერგს მეურვეობდა, ხანაც კევინ გარნეტი შეეფეთებოდა, მაგრამ ვერაფრით აკავებდა.

გუშინწინ ერთი მატჩიც გაიმართა, რომელსაც საკმაო ინტრიგა ახლდა. „ნიუ იორკის“ ნათავკაცარი ჯეფ ვან განდი „ჰიუსტონს“ თავის ყოფილ გუნდთან საბრძოლველად „მედისონ სკვერ გარდენში“ შეუძლვა. ნიუიორკული პუბლიკა ამრეზით შეხვდა „ნიქსის“ ყოფილ მეთაურს, თუმც თამაშის მიმდინარეობამ მათი გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელზე უფრო აჯაგრა „მედისონელები“.

თამაში და მასპინძელთა გვემა ერთდროულად დაიწყო. ნიუ იორკში პირველად მოთამაშე ექსფინიქსელი სტივ მარბერი სეხნია ფრენსისისგან დაიჩრდილა, დანარჩენებიც თავს არ ჰგავდნენ და „ჰიუსტონმაც“ ხუთ წუთში თითქმის მოათავა საქმე — 23:2.

ამ დროს ხალხმა ლოზუნგი გამოფინა — „ცეცხლს ჩეინი!“ დონ ჩეინი „ნიუ იორკის“ მწვრთნელია და სანამ 2001 წლის დეკემბერში „ნიქსს“ სათავეში ჩაუდგებოდა, ხალხმა ამავე ლოზუნგით გუნდიდან ვან განდი „გააცილა“. გუშინწინ კი ამ კაცმა შური იძია ყოფილ გუნდზე, მაგრამ „ნიუ იორკის“ ამჟამინდელი თავკაცი ჩეინი მაინც შეეცოდა და ეს თქვა:

„ყვირილი საერთოდ არ ვარგა, მაგრამ ეს ნიუიორკელების ხასიათში დევს. „ნიქსის“ მწვრთნელობა მძიმე ხვედრია, მაგრამ რას იზამ, როცა კალათბურთელები არ ვარგანან. ამ თამაშის წაგება ჩეინის კისერზე ნაღდად არაა.“

**ირაკლი პერტაია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | |
| ატლანტიკა | | | |
| ნიუ ჯერსი | 20 | 14 | 58,8 |
| ბოსტონი | 18 | 19 | 48,6 |
| ფილადელფია | 16 | 19 | 45,7 |
| მაიამი | 15 | 20 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 14 | 23 | 37,8 |
| ვაშინგტონი | 9 | 24 | 27,3 |
| ორლანდო | 8 | 28 | 22,2 |
| ცენტრალური | | | |
| ინდიანა | 27 | 10 | 73,0 |
| დეტროიტი | 23 | 13 | 63,9 |
| ნიუ ორლეანი | 22 | 13 | 62,9 |
| ტორონტო | 18 | 15 | 54,5 |
| მილუოკი | 19 | 16 | 54,3 |
| ჩიკაგო | 11 | 24 | 31,4 |
| კლივლენდი | 11 | 24 | 31,4 |
| ატლანტა | 10 | 26 | 27,8 |
| **დასავლეთი** | | | |
| შუა-დასავლეთი | | | |
| სან ანტონიო | 24 | 11 | 68,6 |
| მინესოტა | 23 | 11 | 67,6 |
| დალასი | 20 | 14 | 58,8 |
| დენვერი | 21 | 15 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 20 | 15 | 57,1 |
| იუტა | 18 | 16 | 52,9 |
| მემფისი | 17 | 17 | 50,0 |
| წყნარი ოკეანე | | | |
| საკრამენტო | 24 | 9 | 72,7 |
| ლეიკერსი | 21 | 11 | 65,6 |
| სიეტლი | 18 | 15 | 54,5 |
| პორტლენდი | 15 | 18 | 45,5 |
| კლიპერსი | 14 | 18 | 43,8 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 20 | 41,2 |
| ფინიქსი | 12 | 24 | 33,3 |



# ერთი, აქეთ მოუშარდე!

## გრეგ რუზეცკის ნანდროლონის სუნი აუვიდა

**ჯერ სეზონი** არ გახურებულა და უკვე პირველ სკანდალზე წერაც გვიწევს. საქმე კანადაში დაბადებულსა და ბრიტანეთის დროშის ქვეშ მოჩოგნავე გრეგ რუზეცკის ეხება, ვისაც საქმეში არც ისე ღრმად ჩახედული კაცი მხოლოდ იმით იცნობს, რომ 1997 წლის აშშ-ის ღია პირველობის ფინალში პატ რაფტერთან დამარცხებულა, ხოლო ენდი როდიკთან ერთად სარეკორდო, საათში 149-მილიან მოწოდებას დაიკვეხს.

ამიერიდან კი ამ ზორბა და ყბაჩა კაცის ხსენებაზე მადლიერ მკითხველს კიდევ ის ამბავიც გაახსენდება, რომ ხუთშაბათს, ადელაიდური ტურნირის მეორე წრეში ფრანგ სირილ სოლნიესთან 2:6, 2:6 დამარცხების შემდეგ მას შარდში აკრძალული პრეპარატი, ნანდროლონი აღმოუჩინეს. ეს კი ალბათ იმას ნიშნავს, რომ 30 წლის მეჩოგნე თავისი ცხოვრების მომდევნო ორ წელს სავარაუდოდ კორტის მიღმა გაატარებს.

თუმცა თავად რუზეცკი ამბობს, რომ ის უდანაშაულოა და რომ მას არასოდეს მიუღია რაიმე აკრძალული ნივთიერება — „ეს ძალზედ ჩახლართული სიტუაციაა და მე იმედი მაქვს, რომ, როცა ყველაფერი გაირკვევა, ჩემს უდანაშაულობაში ეჭვს ველარავინ შეიტანს.“

რუზეცკის ბედი 9 თებერვალს, მონრეალში გასამართ ანტისადოპინგო მოსმენებზე გადაწყდება. მანამდე კი ეიტიპი ნებას რთავს მას, სადაც უნდა იქ, მათ შორის ავსტრალიის ღია პირველობაზეც გამოვიდეს.

ბრიტანელის ჩრდილმიყენებულ მდგომარეობას არასახარბიელო ფონს უქმნის ის გარემოება, რომ სწორედ ამ ამბამდე ერთი დღით ადრე დიდი ჩოგბურთიდან ცხრა თვით მოკვეთეს არგენტინელი მარიანო პუერტა, ვისაც შარშან კლენბუტეროლის, კუნთების მზარდი ანაბოლიკური სტეროიდების მსგავსი პრეპარატის მოხმარება დაუდგინდა.

სხვათა შორის, პუერტა მესამე არგენტინელია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, დოპინგის გამოყენების გამო სპორტის მამათა მრისხანება რომ დაიმსახურა. წინა ორი ხუან იგნასიო ჩელა და გილერმო კორია იყვნენ. ორივე 2001 წელს გასკვანჩეს — ჩელას მეთილტესტოსტერონის მიღება სამთვიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა, კორიამ კი იმავ ნანდროლონის გამოყენება შვიდთვიანი მოკვეთითა და 98 500 დოლარით ჩამოირეცხა.



ნანდროლონისავე გამო ერთი წლით აუქმეს 1998 წლის უიმბლდონის მომგები ჩეხი პეტრ კორდა — აკრძალული პრეპარატი შარდს მან იმავე სეზონის ივლისში გამოაყოლა.

ერთადერთი, რაც რუზეცკის უნდა ეიმედებოდეს, კორდას თვისტომის, ბოგდან ულირახის შარშანდელი ამბავია. ასევე ნანდროლონის გამო უკვე დისკვალიფიკაციამისჯილ ულირახს სასჯელი მას შემდეგ გაუარაფრეს, როცა გაირკვა, რომ ეიტიპის მიერ ნებადართული ზოგიერთი ბიოლოგიური დანამატი შესაძლოა ნანდროლონსაც შეიცავდეს.

**ლევან ძელაურაძე**

## ჰოპმანის თასი

პერთი. ჰარდი. საპრიზო 752 ათასი $

**ჯგუფი A**

**აშშ 3:0 რუსეთი**

**ჯეიმს ბლეიკი** — მარატ საფინი 6:7 (4:7), 7:6 (7:4), 6:4
**ლინდსი დევენპორტი** — ანასტასია მისკინა 6:4, 6:4
**დევენპორტი, ბლეიკი** — მისკინა, საფინი 7:5, 6:4

**საფრანგეთი 2:1 ჩეხეთი**

ფაბრის სანტორო — **ირჟი ნოვაკი** 1:6, 6:4, 2:6
**ამელი მორესმო** — ბარბორა სტრიჩოვა 6:3, 6:4
**სანტორო, მორესმო** — ნოვაკი, სტრიჩოვა 6:3, 6:4

# რუსებს სულ არაფერი

ფინალში მოსახვედრად რუსებს პირწმინდად, მატჩის კი არა და, სულაც სეტისწაუგებლად უნდა შეემუსრათ ამერიკელები. ყველაფერი კი თითქმის პირიქით მოხდა. ჯერ დევენპორტმა გატყიპა მისკინა, ხოლო შემდეგ ბლეიკმა და საფინმა პერთელ ქომაგებს რიგიანი სანახაობა მოუწყვეს და შავტუხა იანკი, ვინაც თავისი ხუჭუჭა ჯაგარი წინა სეზონს გაატანა, უფრო უცდომელი გამოდგა. წყვილების თამაში ფორმალობაღა იყო, თუმცა ბლეიკსა და დევენპორტს რაიმის დათმობა არც აქ უცდიათ. შედეგად — ამერიკელებმა სამ ჯგუფურ მატჩში უნაკლო, 9:0-იანი სასეტო ბალანსი დააგროვეს და სადღევანდლო ფინალსაც ლაღი განწყობით ხვდებიან. ეგ მით უფრო, რომ სათასო მატჩს მეორე ჯგუფში გამარჯვებული ავსტრალიელების ნაცვლად მეორე ადგილზე გასულ სლოვაკებთან გამართავენ. ამის მიზეზი კი ოზთა ქალმეჩოგნის, ალიშა მოლიკის ტრავმირებული მუხლია. მუხლი მოლიკმა გუშინწინ დანიელა ჰანტუხოვასთან პაექრობისას დაიშავა და როგორც მოგვიანებით გაირკვა — საკმაოდ მძიმედაც.

ჰოპმანის თასს ვინლა ჩივის, ოზთა სეფექალმა ვინძლო ავსტრალიის ღია პირველობაზე ბუქნაობაც ველარ შეიძლოს. ისე კი, მოლიკის ტრავმამ მილეთს ლეიტონ ჰიუიტისა და ჯეიმს ბლეიკის დაძაბული საფინალო შეხლის, თავად ლეიტონს კი რევანშის შანსი გაუუქმა. ეგებ გახსოვდეთ, მათი შარშანდელი ჰოპმანური დაპირისპირებისას გამარჯვება სწორედ ამერიკელს ერგო.

## QATAR EXXON MOBIL OPEN

დოჰა. ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

# ჰა, ბურთი და დოჰას კორტი

**მეოთხედფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — სებასტიან გროჟანი (4, საფრანგეთი) 6:3, 5:7, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (7, დიდი ბრიტანეთი) — **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) 6:3, 6:1; **აგუსტინ კალიერი** (8, არგენტინა) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:4; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4, 6:2

ტიმ ჰენმანი დოჰაში მეოთხედ გამოდის და აგერ უკვე მესამედ შეძლო, ნახევარფინალამდე გაეღწია. იმ დღეს მან სეტისწაუგებლად ჩაურბინა სარგის სარგსიანს და — თუკი იქითა ოქტომბრიდან ავითვლით — თავისი ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მიითვალა.

ნახევარფინალშივეა 24 წლის ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი, ვინაც ჰენმანისგან განსხვავებით ყატარში პირველად ჩოგნაობს. სებასტიან გროჟანს ის მესამედ ხვდებოდა და წინა ორ შეხლაში მისთვის ჩოგანიც ვერ შეებრუნებინა.

სხვაფრივ — ენდი როდიკის მძლეველ იონას ბიორკმანს არგენტინელი აგუსტინ კალიერი გაუსწორდა, ნიკოლა ესკუდე კი თავის პირველ ნახევარფინალში მოხვდა შარშანდელი მარსელობის შემდეგ.

შვიდი მწვერვალი.

# კილიმანჯარო



„თქვენ ახლა ხართ უჰუროზე, აფრიკის უმაღლეს წერტილზე, რომელიც მდებარეობს 5963 მეტრზე ზღვის დონიდან“ — ასეთი წარწერებიანი ფირნიში ხვდებათ კილიმანჯაროზე ამსვლელებს, მაგრამ იყო დრო, როცა ეს მწვერვალი „შავი კონტინენტის“ უმაღლესი პიკი არ ყოფილა. ასეთი იყო კენია, რომელიც არათუ აფრიკას, არამედ მთელ დედამიწასაც ზემოდან დასცქეროდა. მაშინ ჩვენი პლანეტის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლონგმა (იგივე ევერესტი, საგარმატხა) ამ ქვეყნად მოვლენილიც არ იყო. ეს ბუმბერაზი დაბადებულიც რომ ყოფილიყო, კენიას მაინც ჩამორჩებოდა, რადგან აზიაში აღმართული მწვერვალის სიმაღლე 8848 მეტრია, აფრიკის უმაღლესი პიკისა კი, თუ მეცნიერებს დავუჯერებთ, ლამის 9 კილომეტრი ყოფილა. იმავე მეცნიერთა მტკიცებით, ორთავა კენიას ვულკანური ქანები ეროზიისგან დაშლილა, შეჭმულა და 5199 მეტრამდე დადაბლებულა, აფრიკაში პირველობა კი ხელთ უგდია კილიმანჯაროს.

ეს ყველაფერი უხსოვარ დროში მომხდარა, ვიდრე ადამი და ევა, მზია და ზეზვა თუ ამ ადამიანთა მსგავსი არსება მოევლინებოდა სამყაროს, მერე კი მთელ ქვეყნიერებასაც მოედებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ უძველეს ადამიანთა ნაკვალევს აზიის მერე სიდიდით მეორე კონტინენტზე, აფრიკაში მივყავართ, იქაურ კილიმანჯაროზე, კენიაზე ან სხვა მწვერვალების არსებობაზე გარე სამყაროს წარმოდგენა არ ჰქონდა. ისინი — ძველი ბერძნები, ასირიელები, სპარსები თუ რომაელები მეტ-ნაკლებად კარგად იცნობდნენ ჩრდილოეთ აფრიკას — კართაგენს, ეგვიპტეს, ხეოფსის პირამიდასაც, კარნაკის ტაძარსაც, ბევრ სხვასაც, მაგრამ მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ამ კონტინენტზე. მთელ ამ ხმელეთს ისინი კართაგენთან მობინადრე აფრის ტომის სახელს უწოდებდნენ და მათი მზერა ვერ სწვდებოდა კილიმანჯაროს, რომელიც 150 კილომეტრიდანაც კი დიდებულად მოსჩანს.

პირველი ადამიანი, ვინც აფრიკის თოვლ-ყინულოვანი მთა დაინახა, იყო ბერძენი დიოგენი (ოღონდ რომელი ფილოსოფოსი, ეს ვერ დავადგინეთ), ვისაც ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნეში ემოგზაურა აფრიკაში. ეტყობა, მისი ნაამბობი აფრიკის მცხუნვარე მზისგან დასიცხულის მოჩვენებად ჩათვალეს, რაკი ცხელ კონტინენტზე ყინულის არსებობა მაშინ კი არა, საუკუნენახევრის წინათაც ვერ წარმოედგინათ.

მაშინ, 1848 წელს „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ გერმანელმა მისიონერმა იოჰანეს რემბრანტმა დაინახა. აფრიკიდან დაბრუნებულმა გერმანელმა მისიონერმა ევროპაში ამბავი რომ ჩამოიტანა, ღმერთო, დიდებულო, იმ პაპანაქება სიცხეში თოვლიანი მწვერვალი ვნახეო, სიცილი დააყარეს. მერედა დაიჯერეს, როცა იოჰანესს ნათქვამი მისმა თანამოგზაურმა დაუდასტურა.

ასე აღმოაჩინეს აფრიკის უმაღლესი მწვერვალი კილიმანჯარო ევროპელებმა.

და ახლა, როცა მასზე ვსაუბრობთ, მკითხველს იქნებ გაახსენეს ლეოპარდი, რომელსაც ლამის კილიმანჯაროს კენწერომდე აუღწევია და ყინულებში სული დაულევია. მკითხველს ალბათ აგრეთვე გაახსენდება ჰემინგუეის მიერ დასმული კითხვაც — ნეტა იქ რამ აიყვანა ლეოპარდიო.

მაგრამ ლეოპარდისას რას გაიგებ, როცა ადამიანებისა ვერა გაგვიგია. ვერც ის, თუ რისთვის ადიან მწვერვალებზე. ადამიანებმა უმალ მოსვენება დაკარგეს, როცა კილიმანჯარო აღმოაჩინეს.

პირველნი, ვინც აფრიკის კენწეროზე მოექცნენ, იყვნენ გერმანელი გეოგრაფი ჰანს მაიერი და ავსტრიელი ლუდვიგ პურტშელი, რომლებმაც 1889 წელს დალაშქრეს ტანზანიაში, კენიის საზღვართან ახლოს მდებარე კილიმანჯარო. ეს გერმანელთა მიერ ტანზანიის ანექსიის მერე მოხდა. ამიტომაც კილიმანჯარო გერმანიის იმპერიის უმაღლეს მწვერვალად გამოაცხადეს, თავად აფრიკის უმაღლეს პიკს კი იმპერატორის საპატივცემულოდ „კაიზერ ვილჰელმის პიკი“ უწოდეს. 1963 წელს, როცა ტანზანიამ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, ამ მწვერვალს უჰურო უწოდეს, რაც ადგილობრივი სუაჰილის ენაზე თავისუფლებას ნიშნავს.

მაგრამ აფრიკის უმაღლესი მწვერვალის სახელთან და სიმაღლესთან დაკავშირებით სხვა ისტორიებიც უნდა გავიხსენოთ.

მიჩნეული იყო, კილიმანჯაროს სიმაღლე 5895 მეტრიაო, მაგრამ ბოლო წლებში დადგინდა, რომ იგი 5963 მეტრამდე ყოფილა აღმართული.

მწვერვალი მწვანეზე დადებულ თეთრ ბალიშს წააგავს. შორიდან ისე მოჩანს, თითქოს კილიმანჯაროსთვის წვერი გადაუჭრათ და ვება პლატო თარაზოთი გაუსწორებიათო, მაგრამ იქ ასულ კაცს მწვერვალი სულ სხვაგვარი ხვდება.

კილიმანჯარო ჩამქრალი ვულკანია. ამ „ბალიშზე“ ყველაზე დაბალი წერტილი 5685 მეტრია. მას ევროპელები ვილმონტს უწოდებენ, ადგილობრივი მკვიდრნი კი მავენზის.

მწვერვალის უმაღლეს წერტილს უჰურო ჰქვია, ძველი, „ნამდვილი“ სახელი კი კიბოა, მაგრამ მავენზიდან კიბომდე მისასვლელად მთელი 12 კილომეტრია გასავლელი. ასეთი დიდი მანძილის გამო კილიმანჯაროს ამ ორ წვერს შორის სიმაღლეში 210-მეტრიანი სხვაობა თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველია. თუმცა, 25-კილომეტრიან მწვერვალზე არის კიდევ ერთი მწვერვალი, უფრო სწორედ შემაღლება, რომელსაც შირა ჰქვია.

თავად მწვერვალის ზედაპირი ქვალორღითა და ხრეშითაა დაფარული. არის თოვლის ლაქებიც, ზღვის ქაფს რომ გვაგონებს და არის ყინულის მასაც, აისბერგივით რომ აღმართულა. კილიმანჯაროს კრატერზე ყველაზე დაბალი მწვერვალი შირაა, რომელიც ზუსტად 4000 მეტრია.

მწვერვალის მისადგომებთან შაგას ტომის ხალხი ცხოვრობს. ისინი ქრისტეს მოვლენამდეც კილიმანჯაროს ეთაყვანებოდნენ და გაქრისტიანების მერეც მისი ერთგულნი დარჩნენ.

შაგას ხალხი თავიანთ მიწა-წყალს ღმერთის წინა თუ მთავარ გულს უწოდებენ, იმ მიწა-წყალზე კი უმთავრესი კილიმანჯაროა. ისინი ფიქრობენ, რომ ვინც უფრო ახლოს ცხოვრობს კილიმანჯაროსთან, მთის ანუ ღმერთის რჩეული ხალხია, ასეთად კი თავიანთი თავი მიაჩნიათ.

შაგას ხალხს აქვს თავისი მოსაზრებები, უფრო სწორად ლეგენდა, თუ რატომაა კილიმანჯაროს ორი მთავარი მწვერვალი კიბო და მავენზი სხვადასხვა სიმაღლისა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

დასასრული იქნება




ძველ ღია ბარათზე კილიმანჯაროს სიმაღლე 5895 მეტრია



აფრიკის მოძრავი და უძრავი ღირსშესანიშნაობები



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ლიდერები ნესტორ ხერგიანი და ზურაბ ზვიადაური

# ქართულ ძიუდოს მსაჯებში „თავისი“ კაცი ეყოლება

**ძიუდოისტთათვის** შარშანდელი სეზონი უხვმოსავლიანი გამოდგა და ეს 2003 წლის საუკეთესო გუნდად დასახელებითაც დაუფასდათ. სალიცენზიო ტურნირებში ქულათა გროვებით ქართველები ევროპაში ერთ-ერთი მოწინავენი იყვნენ და ძიუდოისტებსაც ათენში სრული გუნდით წასვლის იმედი მიეცათ, მაგრამ სექტემბერში იაპონურ ოსაკაში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ეს იმედი ოდნავ გააფერმკრთალა. ტურნირზე, რომელზეც ოლიმპიადის საგზურის ვადაზე ადრე დაბევება შეიძლებოდა, თავი მხოლოდ ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ) გამოიჩინა და შინ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონად დაბრუნდა. აქედან გამომდინარე, იგი დღესდღეობით ერთადერთი ქრთველი ლიცენზიანი ძიუდოისტია.

ზურას გარდა, ათენში მოხვედრა ფაქტობრივად განაღდებული აქვთ ნესტორ ხერგიანს (60 კგ) და დავით მარგოშვილს (66 კგ). არა გვგონია, მათ წლეულს დარჩენილ ტურნირებში ნორმატივამდე მიღწევა გაუჭირდეთ. თან შარშანდელთან შედარებით ამჯერად საპრიზო ადგილებზე ორჯერ მეტი ქულები ირიცხება და ერთ-ერთ ბოლო სალიცენზიო შეჯიბრს აპრილში თბილისი უმასპინძლებს.

სეზონი ორიოდ კვირაში ტრადიციული მოსკოვური ტურნირით იხსნება და მასზე ქართველ მოჭიდავეებსა და მწვრთნელებთან ერთად მსაჯი მერაბ ლოსეურაშვილიც გაემგზავრება. არატენდენციურ მსაჯობასა და ჩვენების ჩაგვრაზე არაერთგზის გვითქვამს. ასე რომ, მსაჯთა ამქარში ქართველი არბიტრის მოხვედრა განსაკუთრებით აღსანიშნი ფაქტია.

შოთა ხაბარელმა ნაკრების ძირითად სამეულს (ხერგიანი, მარგოშვილი, ზვიადაური) დასვენების უფლება მისცა და მოსკოვში უმათოდ წასვლა გადაწყვიტა. მწვრთნელი თითოეულ წონაში ორ-ორი სპორტსმენის გამოცდას აპირებს. გამონაკლისი მხოლოდ 60 და 90 კილოგრამებია, სადაც წლის ბოლოს ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის მომგებ ვახტანგ ხოსიტაშვილისა და მინდია ბოდაველის სახით მხოლოდ თითო მონაწილე გვეყოლება. ამ მოჭიდავეთა საათენო შანსებზე საუბარი ცოტა გადაჭარბებულია და მოსკოვური ტურნირი სამომავლო გამოცდილების მისაღებად უფრო გამოადგებათ. იგივეს თქმა შეიძლება 66 კილოგრამში მოჭიდავე ზაზა კედელაშვილსა და მინდია ხომიზურზეც. საქართველოს ფინალში სწორედ ისინი დაეჭიდნენ ერთმანეთს და კედელაშვილმა იმარჯვა, თუმცა მწვრთნელმა რუსეთში ორივეს წაყვანა გადაწყვიტა.

ყველაზე დიდი კონკურენცია 100 კილოგრამსა და მძიმე წონებშია მოსალოდნელი. 100-ში ათენისთვის ორი გამოცდილი ფალავანი, ივერი ჯიქურაული და გია გუგავა იბრძვიან. მოსკოვშიც და სხვა საერთაშორისო ტურნირებშიც ორივეს მიეცემა თავისი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი და ვინ იცის, იქნებ ლიცენზიის მოსაპოვებლად რომელიმე ევროპულ ხალიჩაზე ერთმანეთსაც დაუპირისპირდნენ.

მძიმე წონაში ამჟამინდელი ქულებით უპირატესობა ზვიად ხანჯალიაშვილის მხარესაა, თუმცა იმდენად უმნიშვნელო, რომ ევროპის გუნდური ჩემპიონატის გმირმა ალექსი დავითაშვილმა ერთი სალიცენზიო ტურნირის მოგებით შეიძლება გაუსწროს. სარუსეთოდ მწვრთნელმა სწორედ ესენი დაასახელა, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ახალგაზრდათა შორის ევროპის მომგები ლაშა გუჯეჯიანიც. სალიცენზიო ქულები შარშანდელ თბილისურ ტურნირზე აღებული ვერცხლით მანაც მოიპოვა და მოსკოვის მომდევნო შეჯიბრზე, რომელიც 7 თებერვალს პარიზში დაიწყება, ხაბარელი თავის გამოჩენის შანსს მასაც მისცემს.

დარჩა ორი წონა, რომლებშიც ალბათ ოლიმპიადის საგზურის მოპოვება საკმაოდ გაჭირდება. მძიმე ტრავმის შემდეგ ჩვეული ფორმის აღდგენა ვერაფრით მოახერხა დავით ქევხიშვილმა (73 კგ). მას ფაქტობრივად მთელი გასული სეზონი გაუცდა და, ცხადია, ნაკრებში ადგილიც დაკარგა. ახლა ის უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და სავარაუდოდ მალე საერთაშორისო არენასაც დაუბრუნდება. რუსეთში კი გიორგი რევაზიშვილი და საქართველოს ჩემპიონი დავით ბოდაველი წავლენ.

81-ში ძირითადი აქცენტი დავით ნადარაიასა და გრიგოლ შინჯიკაშვილზე კეთდება. უახლოეს სალიცენზიო შეჯიბრებზე მწვრთნელი ალბათ ორივეს გამოცდის.

დაბოლოს, მოსკოვში საქართველოს ნაკრები წინასწარი მონაცემებით 16-კაციანი დელეგაციით 23 იანვარს გაემგზავრება. ტურნირი კი 24-25 იანვარში გაიმართება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# საქმე გარღვეულმა ლეიბმაც შეასრულა

8 იანვარი

**ნეშვილი 4:3 კოლორადო**
*0:2 2:0 1:1 1:0*
0:1 ფორსბერგი (3), 0:2 საკიკი (17), 1:2 გამაში (31), 2:2 ჯონსონი (36), 3:2 ჰაჩინსონი (51), 3:3 კარია (60), 4:3 იორკი (62)

წლეულს „ნეშვილი“ აღარ ხუმრობს. აბა, „კოლორადოს“ წამოქცევა, მით უფრო ოპტიმალური შემადგენლობით, ადვილია? „ეველანშს“ ხომ ტრავმების შემდეგ პეტერ ფორსბერგი და პოლ კარია დაუბრუნდნენ. თან სტუმრები პირველი პერიოდის შემდეგ 2:0 იგებდნენ.

**კაროლინა 3:2 რეინჯერსი**
*0:1 3:0 0:1*
0:1 ლინდროსი (16), 1:1 ადამსი (23), 2:1 ვასიჩეკი (31), 3:1 ვასიჩეკი (32), 3:2 კოვალიოვი (42)

გაიტანე ორი გოლი და გაიხარე — აი, რეცეპტი „კაროლინას“ მეტოქეთათვის, რომელიც თითქმის ყოველთვის ამართლებს. ამ სეზონში „ქარიშხლები“ ისე უნიათოდ გამოიყურებიან შეტევაში, რომ მათთვის ერთ გოლზე მეტის გატანა დიდი პრობლემაა. 40 თამაშის შემდეგ მათ აქტივში მხოლოდ 70 შაიბა დაიწერეს. ასეთი დაბალი შედეგიანობა 60 წლის განმავლობაში არ ჰქონიათ. ეტყობა, ამან გაათამამა „რეინჯერსის“ მოთამაშეები — პირველ პერიოდში ერთი გოლი რომ გაიტანეს, საქმის ნახევარი შესრულებულიაო, იფიქრეს და ცოტა შეყოვნდნენ. ამიტომაც დაისაჯნენ. ამოვარდა ქარიშხალი, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ ერთობ მძლავრი, 19 წუთში სამი გოლი გაიტანეს მასპინძლებმა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, „რეინჯერსმა“ ბოლო მესამედში მხოლოდ სხვაობის მინიმუმამდე შემცირებაღა შეძლო.

**სან ხოსე 2:3 კოლუმბუსი**
*1:0 0:2 1:0 0:1*
1:0 ტორნტონი (1), 1:1 რაიტი (21), 1:2 ჰარტიგანი (35), 2:2 ტორნტონი (60), 2:3 ნეში (65)

დრო მიდის, მაგრამ რიკ ნეში პოზიციებს არ თმობს და მეგოლეთა დავაში ურყევად ლიდერობს. „კოლუმბუსის“ 19 წლის ლიდერმა თავისი 24-ე შაიბა ოვერტაიმის დასრულებამდე 2 წამით ადრე შეაგდო.

**ბოსტონი 3:1 პიტსბურგი**
*1:0 0:1 2:0*
1:0 ოდონელი (9), 1:1 შტარბაკი (27), 2:1 ბერჟერონი (58), 3:1 კნუბლი (60)

**აილენდერსი 3:2 ედმონტონი**
*0:1 1:0 2:1*
0:1 იორკი (9), 1:1 მარტინეკი (35), 2:1 პაპინო (44), 2:2 კროსი (58), 3:2 პაპინო (59)

**ფილადელფია 3:4 ფლორიდა**
*2:1 0:2 1:0 0:1*
1:0 სომიკ (3), 1:1 ჰორტონი (11), 2:1 რენიკი (16), 2:2 ჰორტონი (24), 2:3 [illegible] (34), 3:3 ლეკლერი (44), 3:4 [illegible] (63)

**მონრეალი 1:4 ტამპა**
*0:0 1:3 0:1*
0:1 მოდინი (21), 1:1 დაჟენე (22), 1:2 სან ლუი (25), 1:3 ფედოტენკო (34), 1:4 სან ლუი (44)

**ტორონტო 1:7 ოტავა**
*0:5 0:0 1:2*
0:1 ნოლი (3), 0:2 რედენი (5), 0:3 ბონკი (7), 0:4 სმოლინსკი (7), 0:5 სპეცა (13), 1:5 კლი (46), 1:6 ჰავლატი (50), 1:7 რედენი (51)

**ჩიკაგო 3:1 კალგარი**
*1:1 0:0 2:0*
0:1 საპრიკინი (5), 1:1 კოლდერი (17), 2:1 სალივანი (43), 3:1 ბერარდი (60)

**დალასი 2:1 ატლანტა**
*1:0 0:0 1:1*
1:0 ოტი (2), 2:0 იანგი (47), 2:1 პეტროვიცკი (58)

**ლოს ანჯელესი 1:3 ვანკუვერი**
*0:1 0:2 1:0*
0:1 არვედსონი (8), 0:2 არვედსონი (27), 0:3 დ. სედინი (38), 1:3 ჰოლანდი (48)

„ვანკუვერს“ არგო „ლეიბების ხაზის“ დაშლამ. სეზონის დასაწყისიდან ტყუპ სედინებთან ერთად მოთამაშე და მათსავით ლაჟღაჟა ჯეისონ კინგი სედინების თანამემამულე მაგნუს არვედსონმა შეცვალა და სამივე გოლი ამ ახალმა რგოლმა გამოჭედა.



REUTERS

„ჩიკაგოს“ მეკარე მაიკლ ლეიტონს კალგარელებმა კარი თავზე წამოაცვეს

# ALL-STAR GAME

# ყველა ვარსკვლავის თამაშში ამდენ „ვარსკვლავს“ რა უნდა?

**ტრადიციული** გამოკითხვის დასრულების შემდეგ „ოლ სტარის“ სასტარტო ექვსეულებში ერთბაშად სამ-სამი დალასელი „ვარსკვლავი“ და ნიუჯერსელი „ეშმაკი“ მოხვდა. მორიგი „ოლ სტარის“ თამაში 8 თებერვალს გაიმართება სენ ტპოლში („მინესოტას“ ადგილსამყოფელი) და მასში კვლავ აღმოსავლეთის და დასავლეთის გუნდები შეეჯახებიან ერთმანეთს.

აღმოსავლეთის სასტარტო ექვსეულში 3 ნიუჯერსელის მოხვედრა გაკვირვებას სულაც არ იწვევს. მეკარე მარტინ ბროდო, მცველები — სკოტ სტივენსი და სკოტ ნიდერმაიერი დამსახურებული ჰოკეისტები არიან. თან „ნიუჯერსი“ ამ სეზონში ბრწყინვალედ გამოყურება დაცვაში. აღსანიშნავია, რომ ეს სტივენსის რიგით მე-14 „ოლ სტარი“ იქნება. მათ გარდა სასტარტო ექვსეულში ბოსტონელი ცენტრფორვარდი ჯო ტორნტონი მოხვდა, რომელმაც მხოლოდ 81(!) ხმით გაუსწრო ფილადელფიელ ჯერემი რენიკს; აგრეთვე: გარემარბები, ატლანტელი ილია კოვალჩუკი და ტამპელი მარტინ სან ლუი. კოვალჩუკმა ყველაზე მეტი, 145 380 ხმა მიიღო (მეორე სტივენსი იყო 121 838 ხმით).

რაც შეეხება დასავლეთის სასტარტო გუნდს, 3 დალასელის მოხვედრა ცოტა გასაკვირია, ვინაიდან ტეხასელები წლეულს აშკარად ვერ არიან სათანადო დონეზე. ამ სამისგან გარემარბ ბილ გერინს თუ გამოვარჩევთ, ცენტრფორვარდი მაიკ მოდანო და მეკარე მარტი ტურკო კი ნაღდად არ ატარებენ საუკეთესო სეზონს. მაგრამ ფაქტს სად გავექცევით, იმავე მოდანომ გამოკითხვაში ლამის 20 ათასი ხმით აჯობა უახლოეს კონკურენტს, კოლორადოელ პეტერ ფორსბერგს. დანარჩენი 3 ადგილი გარემარბ ტოდ ბერტუცის (ვანკუვერი) და მცველებს — რობ ბლეიკსა (კოლორადო) და ნიკლას ლიდსტრიომს (დეტროიტი) ერგოთ. ეს უკანასკნელი ზედიზედ მეექვსედ ხვდება სასტარტო სიაში.

შოუს დანარჩენ მონაწილეთა ვინაობა 22 იანვარს გამოცხადდება.

**სამველ ლარიბიანი**

# საფრანგეთის ალპებში

საფრანგეთის ალპებში, შამონის ალაგში სამთო თხილამურობის მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი გახურებულა. ოღონდაც ეს სწრაფდამშვები ფრანგი, ანტუან დენერიაზი ჯერ მხოლოდ წინასაშეჯიბრო ვარჯიშობას მისდევს, რაც შეჯიბრებისგან დიდად არაფრით განსხვავდება, თუ ნერვიულობას და განსაკუთრებულ კონცენტრაციას არ ჩავთვლით.



REUTERS შამონიდან

# სტუმრად სახლში

პატრიკ იუინგი, რომელიც „ნიუ იორკ ნიქსის“ ლეგენდა იყო, ახლა „ჰიუსტონ როკიტსის“ მწვრთნელის თანაშემწეა და „მედისონ სკვერ გარდენში“ მოწინააღმდეგედ ჩადის. ამის მიუხედავად თავის ერთგულ ფანებს კეთილად ესალმება, ხოლო ჩინელი გოლიათის, იაო მინგის პატრონი „როკიტსი“ კი „ნიქსს“ 111:79 ამარცხებს. იუინგი სწორედაც რომ ასწავლის ჩინელს ცენტრის ოსტატობას.



REUTERS ნიუ-იორკიდან

# ევანდერი ბომბეიში ჩასულა



REUTERS ბომბეიდან

ბომბეიში ჩასულა კრივის ძველი ჩემპიონი, ევანდერ ჰოლიფილდი, რომელიც ინდოეთში სახალხო მქადაგებელს, დოქტორ ქეიელ პოლს ახლავს. ქადაგმა ჰაიდარაბადში „საქველმოქმედო ქალაქი“ დააარსა და ობოლთა და უპოვართა დახმარებას აპირებს.



REUTERS ატლანტიდან

# მოკლე პროგრამა

საშა კოენი პატარა გოგოს ჰგავს, ფიგურული სრიალი კი სერიოზული საქმეა. მოკლე პროგრამაში საშამ გვარიანი ტაში დაიმსახურა ატლანტაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge